№ 13.

# ივერია

წელიწადი პირველი

26 მაისს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

**ხელის მოწერა:** ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად. . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე.— II ომის ამბები.—III. საპოლიტიკო მიმოხილვა.—IV. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი.—V. ვინ არიან ოსნი.—VI. ოსმალეთის საქართველო.—VII. ჩვენის ისტორიისათვის მასალა (შემდეგი.)

## საქართველოს მატიანე

—

აგერ ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ქალაქში გაზრიელ მირზოევმა ქარხანა გამართა ხამის (ამერიკას რო ვეძახით) საკეთებლად. მაშინები ინგლისიდამ დაიბარა და თვით ოსტატებიცა; მუშა ხალხი კი ქალაქისა უნდა ყოფილიყო. იმედი იყო რომ ეს ქარხანა იხეირებდა.

იმედი ამაზე შეგვეძლო დაგვემყარებინა: პირველად, ბამბა აქვე მოდის. თუ კი წაღებ-წამოღებით ინგლისის ხამი ქარხნის პატრონსა მოგებას აძლევს, აქაურს პატრონს ხომ უმეტესს მოგებას მისცემდა, თუნდა რომ ნაკლებათაც გაეყიდნა. მეორედ, ქარხნის მუშა კაცი ქალაქში უფრო იეფია, ვიდრე ინგლისში, მეტადრე თუ მუშა ქალაქის მკვიდრი მცხოვრებელია. ამის მიზეზი სხვათა შორის ერთი შემთხვევაა: მკვიდრი ქალაქის მცხოვრებელი, მოქალაქე თუნდა დაცემულის ოჯახისშვილი იყოს თუ არ ვაჭრობაზე და ხელოსნათ სხვა მუშაობაზე არა დგება; მოსამსახურეთ, ან დღიურ მუშათ დგომას თაკილობს. ტალახის მუშა დღეში ექვსი შაურიდამ ათამდე იღებს; „ტფილისის მოქალაქე“ მოკვდება, სამსახურათ, მუქთათ ხელოსანს ქარგლათ და შაგირდათ დაუდგება და ამ მუშაობას კი არ იკადრებს. რადგანაც საქსოვი ქარხანა უფ. მირზოევისა სახელოსნო, საფაბრიკო ადგილია, ქალაქის ხალხი არ მოერიდებოდა და ისე იმუშავებდა გულდაჯერებით, როგორც ამოდენა სახელოსნო დუქნებში მუშაობს, თუ კი გულკეთილად და სამართლიანად მოეპყრობოდნენ. ამ გვარათ ქარხნის პატრონიც ხეირსა ნახავდა და ღარიბი მოქალაქეც რგებასა.

ქარხანა რომ გაიმართა, მაშინათვე კარგა ძალი ხალხი მიაწყდა. გამგებელი, ოსტატები და მაშინისტი ინგლისები იყვნენ. წესი დაიდვა და მუშაობა რიგზე წავიდა. მუშაკაცებს ფეიქრებს თოფზედ დანიშნული ჰქონდათ ორი აბაზიდამ სამამდე. ქსელი კარგი გამოდიოდა სუფთა და სქელი, ასე რომ კარგა იყიდებოდა. ერთი წუნი ის იყო, რომ პირველში ძაფს საღებავი კარგი ვერა ჰქონდა, და ამის გამო ხამი დამწვარი გამოდიოდა. მერე ეს ნაკლულევანებაც შეამსეს.

მაგრამ ჩვენს ვაჭრებს და ფულის პატრონებს ერთი ცუდი ჭირი სჭირთ: ხელქვეითის ნათქვამი ღვთის წყალობაც ღვთის რისხვათ მიეჩნიათ და როცა კაი კაცს იშოვნიან საქმეს გულახდილად არ მიანდობენ და მეტიჩარობით ხელს უშლიან. უმცოდინარე კაცი მაშინის მოძრაობაში რას გაარიგებს? ამ ქარხნის პატრონი ყველაფერში ერეოდა, ისე რომ ქარხნის გამგებელი და სხვა ოსტატები მობეზრდნენ თურმე ამის დავიდარაბისა და მეტიჩრობისაგან. მაგრამ დიდ ხანს ითმინეს, რადგან ხელწერილით შეკრულნი იყვნენ და გასვლასთანავე ურარაოდ უნდა დარჩენილიყვნენ ყარიბად უცხო ქვეყანაში. რადგან თითონ არ გადიოდნენ, ქარხნის პატრონმა ჰკრა პანღური და თითო-თითოდ გაისტუმრა, რასაკვირველია ჯამაგირი კი არ შერჩა და გადაიხადა.

ამის შემდეგ გამგებელი და ოსტატი ქარხანას აღარა ჰყოლია, რაც ისწავლეს ქალაქის უსწავლელმა მუშა კაცებმა, იმითი იოლათ მიდიოდა და აბა რა მუშაობა უნდა ყოფილიყო? მაშინას ვთქვათ ორმოცი ცხენის ძალა ჰქონდა,—ქარხნის პატრონს სურდა ორმოც-და-ათის ცხენის საქმე გაეკეთებინებინა. ამის გამო ჩარხებს გბი-

ლები ჰსცვივოდა, ღერძები ემტვრევოდა და მუშაობა თითო კვირაობითა და თვეობითა ჩერდებოდა, ვიდრე აქაური მჭედლები რასმე მიაკერ-მოაკერებდნენ, ან, ინგლისიდამ, ჩარხია თუ ღერძი მოვიდოდა.

ყველა ხელოსნობაში შეუწყვეტელი ვარჯიში მუშას აოსტატებს და ჰსწვრთნის. ქარხნის მუშემი უსაქმოთ ულუკმაპუროთ ხომ ვერ დარჩებოდნენ და ქარხნის გაჩერების გამო ხუთას კაცამდე მუშა იძულებულიყო დაშლილიყო და სხვა სამუშაო მოეპოვნა. ხელახლათ გაღების შემდეგ ბევრი ამათგანი არ ბრუნდებოდა და ამიტომ პატრონს ახალი ხამი მუშები უნდა შემოეყვანა. ამით დახელოვნებული მუშა აკლდებოდა.

ამას გარდა ფასიც დაუკლო ფეიქრებსა და ორ-სამაბაზის მაგიერ თითო თოფის ქსოვისათვის ექვსი შაური და ათი შაური გაუხადა. ამის გამო 1872 წ. საუკეთესო ფეიქრები გამოვიდნენ და რამდენიმე კვირა მუშაობა ნახევრად შემდგარი იყო.

მას შემდეგ ქარხნის მაშინების მოშლამ და ამ ფასების დაკლებამ ისეთი უწესოება ჩამოაგდო ქარხანაში, რომ ქალაქში კიდეც ლაპარაკობდნენ უფ. მირზოევი ჩითახოვზე გაყიდვას აპირებსო, რადგანაც ზიანსა ხედავსო. ეს ამბავი ჯერ-ჯერობით ჭორათ დარჩა. ხოლო აი რა ამბავი მოხდა. შარშან უფ. მირზოევმა ვითომც საქმის გაკეთებისათვის რუსეთიდამ ას ოცი კაცი ქარხნის მუშები მოიყვანა. ერთ-ორი თვის შემდეგ ამათ ასეთი დღე დაადგათ, რომ უკანვე დააპირეს წასვლა და როდესაც უფ. მირზოევმა გზის ხარჯი არ მისცა, უმაღლეს მთავრობას მიჰმართეს და მთავრობამ ეს მუშები თავისის ხარჯით გაისტუმრა და შემდეგ, რასაკვირველია, ქარხნის პატრონს სამაგიერო გადაახდევინა.

ახლა კიდევ ქალაქში ლაპარაკობენ, ამ თვის ნახევრიდამ ქარხანაში მუშაობა შემდგარიაო იმ მიზეზით, რომ წინათ დაჰპირებიან მუშებს ორ შაურს მოგიმატებთ თითო თოფის ქსოვაზედაო, (უკანასკნელ დროს ხუთი შაური ყოფილა) და ბოლოს კი აღარ მოუმატნიათო.

ამისთანა უთავბოლოთ, უდირექტოროთ, უმეხანიკოთ, მუშის ფასის დაკლებით, რასაკვირველია, ქარხანა დაეცემა. მერე ვიძახით: ჩვენში ვერაფერი ვერა ხეირობსო. ამაზეა ნათქვამი: საქმეს წაახდენს უვიცი ფათერაკს დააბრალებსო.

ჩვენში ერთი ახირებული სურვილი აქვსთ მეტადრე ფულიან ხალხსა. რა საქმესაც ხელს მოჰკიდებენ ერთბამად და უეცრად გამდიდრება სურთ. ამ ქარხანის უხეიროთ ყოფნაც ამ ახირებულის სურვილის ბრალი უნდა იყოს. პირველ გამართვას და რიგში ჩაგდებას, რასაკვირველია, დიდძალი ფული მოუნდებოდა. ვიდრე კარგა ფეხს არ გაიმაგრებდა ეს ქარხანა იმ დრომდე დიდის მოგების იმედი კაცს არ უნდა ჰქონოდა. სარგებელი და კარგი მოგება მერე შეუდგებოდა. ქარხნის პატრონს უეჭველათ სხვა რიგათა ჰგონებია: თავნი და სარგებელი რაც შეიძლება მალე უნდა ადგესო. თუ ესე არ იყოს მაშ რას უნდა მივაწეროთ, ქარხანის ხელის-მცოდნეთა განდევნა, მუშების ხელფასის დაკლება, რომლისაგამოც ჩვენი ერთათ ერთი ქარხანა დღეს იღუპება.

სასურველი კი იყო, რომ ჩვენში ამ პირველ დაწყობილ საქმეს ფეხი მოეკიდნა, მტკიცეთ თავი შეემაგრებინა ჩვენის ქვეყნის სიმდიდრის აქვე დასატრიალებლათ, აღებ-მიცემის და ხელოსნობის გასაჩაღებლათ და საზოგადოთ ქვეყნის გასამდიდრებლად. იმედი გვქონდა რომ ჩვენს პირველს ფულიან-კაცს გაბრიელ მინაიჩს სხვა ფულის პატრონებიც მიჰბაძავდნენ და სხვა და სხვა ქარხნები გაიმართებოდა, მაგრამ ამის მნახველნი, სხვები უამისოთაც გაუბედავნი ძნელათ თუ ამას იქით რასმეს ამ გვარს გაბედვენ.

პ. უ.

— რაჭიდამ გვწერენ, რომ თავად-აზნაურთა სალაშქროდ გამოყვანისაგამო ძრიელ შეაწუხეს ღარიბი თავად-აზნაურობაო იმ გვამთა, რომელნიც თავად-აზნაურთაგან ამ საქმისათვის ამორჩეულ იყვნენო. დიდი და პატარა აღარ გააჩნდათო არც ფულის გაწერაში, არც ფულის მოგროვებაში, ერთხელ ხომ აღარ დასჯერდნენ თურმე მეორედაც შეაწერეს ფულიო. ბევრს თურმე ცხენი და სხვა საქონელი გაუყიდესო; ზოგს კიდევ რომ ფულის ილაჯი არ ჰქონდათ ღვინო წაართვესო. იწერებიან, რომ ღვინით დაურბევიათ ერთის აზნაურ-შვილის ობლები.

— იგივე გვამი რაჭიდამვე გვწერს: „აქ რაჭაში ხალხი ძალიან მყუდროდ და მშვიდობიანად არის. ის ღელვა, ტოკვა, დაუცხრომელი მუდამი სურვილი ომის ამბებისა—როგორსაც ვხედავთ ოზურგეთსა და ქუთაისში, აქ სრულებით არ არის. ყველა, ომზე კი არა, მომავალს მოსავალზედ ლაპარაკობს და წლევანდელი წელიწადი რაჭას მეტად ბევრს და კარგს მოსავალსაც უქადის. ამ ბოლოს დროს აქაც გაჩნდნენ ომში დაჭრილთა გულშემატკივარნი, შესაწევარს აგროვებენ. ამბობენ, რომ ამათი მეცადინეობა და საქმე რიგიანად მიდისო.“

— იქიდამვე გვწერენ: „რაჭაში გზები ყოვლად საძაგლები გვაქვს, ამ გზებზედ არა კაცს არ მოესვლება. ეს რომ ან ოზურგეთს, ან სამეგრელოს იყოს, იტყვის კაცი არა ჰსცალიანთო, იქ ხალხს ეხლა სხვაც ბევრი რამ აქვს თავში საცემიო. აქ რაჭაში კი აქაურს მაზრის უფროსს ეს არ ეთქმის.“

— ივრის ხეობიდამ გვწერენ, რომ საწყალს გლეხობას სოფლის მოხელეებმა ტვინი ამოჰსწოვესო და გლეხის ჯიბეში ისე ჰყოფენ ხელსაო, როგორც საკუთარს ჯიბეშიო. ნამეტნავად სოფლის მწერლების გაუმაძღრობას და მტარვალობას უჩივიან. ერთი იმისთანა პრისტავიცა ჰყოლიათ ამ ბედნიერს ხალხსა, რომელიც ჩამოუვლიდა თურმე ხალხსა, და სოფელ-სოფელ შეაწერდა, შენ ამდენი კოდი პური უნდა მომიტანოო, შენ ამდენი ქერიო და სხვ. ესლა კი ღვთისა და კაცის წყალობითა ის სახელოვანი პრისტავი იქიდამ გაუდევნიათ.

— საგარეჯოში და მის ახლო-მახლო სოფლებში ერთი სასაცილო ალიაქოთია თურმე. ხმა დაუყრიათ, რომ უქმრო და ქვრივ-დედაკაცებს ომში ერეკებიანო დაჭრილთა მოსავლელად. შეჰსდგომია ერთი ჩოჩქოლი და ყივილ-კივილი გლეხის დედაკაცობასა და ვისაც ქმარი არა ჰყავს გაგიჟებით თურმე დაეძებს საქმროსა, რომ გათხოვდეს და ამით გადურჩეს დაჭრილთა მოვლის მოვალეობასა. ამ სასაცილო ამბავს შეიძლება ბევრი სამწუხარო შედეგიც მოჰყვეს. ადგილობრივი მოხელენი მოვალენი არიან ეს ჭორი გაჰფანტონ და გლეხის ქვრივები და გასათხოვარნი ქალნი ძალა-უნებურისა და წინ დაუხედავის გათხოვებისაგან დაიხსნან. საწყალი გლეხობა!.. ისე მიწასთან-გასწორებულნი არიან თავისის ბედისაგან, ისე გატეხილნი, რომ ყოველს ამ გვარს უმგზავსო ჭორს მათში ადგილი აქვს. ბევრის მაგალითით იციან, რომ გლეხისათვის ყოველ გვარი უბედურება მოსალოდნელია და ამიტომაც საწყალნი ყოველს ფერს ადვილად იჯერებენ და ამბობენ: ჩვენის ბედისაგან რაღ უნდა გვიკვირდესო.

---

## ომის ამბები

ამ კვირას საზოგადოების ყურადღება უმთავრესად შავი ზღვის ნაპირისკენ იყო მიქცეული, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ოსმალეთმა რამოდენიმე ათასი ჯარის კაცი გადმოსხა. ღენერალ კრავჩენსკოს *)რაზმი კოდორის მდინარეს გასულა და ჯერთში (Джерды) მისულა. გასვლის დროს ოსმალები დახვედრიან, და სროლა აუტეხიათ; ოცი კაცი მოუკლავთ და დაუჭრიათ.

18 მაისს, როდესაც აფხაზებს კოდორზედ გასვლა დაუპირებიათ ღენერალ ალხაზოვს მათ წინააღმდეგ ორი სოტნა ქუთაისის დრუჟინისა და ერთი სოტნა ეისკის ყაზახი გაუგზავნია, და სროლა გამართულა. სროლის დროს ჩვენს ჯარს უკანით დასჰსცემიან აფხაზნი. სროლაში ქუთაისის დრუჟინის წინა მძღოლი პოდპოლკოვნიკი თ. მიქელაძე მოუკლავთ. გარდა ამისა მოუკლავთ ცხრა კაცი დრუჟინისა და სამი ყაზახი. სამი დრუჟინის აფიცერი და ოცდაერთი კაცი დაუჭრიათ.

— წარსულ კვირაში ორი ოსმალოს სამხედრო ხომალდი მისდგომია სოჭს და ყუმბარების სროლა დაუწყვია. ბოლოს ხუთი ნავი ჯარით გაუგზავნიათ ნაპირების დასაჭერად. ამ დროს რუსის სტრელკოვის როტა სათვარიდამ გამოჩენილა და თოფების სროლით დახვდრია. რაც ნავებში ოსმალოს ჯარი მჯდარა სულ ერთიანად ამოუჟლეტიათ. ამ როტიდამ, რომელიც ხვრელში ყოფილა ჩასაფრებული, მხოლოდ ერთი მოუკლავთ. ოსმალოს ხომალდები ისევ პიწუნდისაკენ დაბრუნებულან.

—ქობულეთის რაზმის მოწინავე ჯარი პოლკოვნიკის გურჩინის წინამძღოლობით მდ. კინტრიშს-გაღმა გასულა და სამების მაღლობი დაუჭერია და მით ქობულეთისა და ციხისძირის შორის გზა შეუკრავს. ოსმალოს ჯარს ციხისძირისაკენ დაუხევია. პოლკოვნიკის გურჩინის ჯარში სამი კაცი დაუჭრიათ. ჩვენები სამებასთან ხიდს აშენებენ და გზას აკეთებენ არტილერიის გადასაყვანად. ავი დარი ძალიან აბრკოლებს საქმესაო.

იმავე დროს მაიორის თ. მელიქოვის კოლონას სოფ. ზენითის მახლობლად დანიშნული ალაგი დაუჭერია, თუმცა ადგილობრივ-მცხოვრებთაგან დიდი დაბრკოლება მიჰსცემია. ჩვენის მხრით ოთხი კაცი მოუკლავთ და 26 დაუჭრიათ.

—21 მაისს კოლონნა გურჩინის წინამძღოლობით სოფ. ზენითის მახლობლად მისულა და შემდეგ სოფ. აჩქოსკენ (Ачкуа) გამგზავრებულა. მეორე კოლონას ყორღანოვის წინამძღოლობით ცხარე ომი ჰქონია ოსმალებთან.

— 14 მაისს ღენერალ ტერგუკასოვს სურფ-ოჰანესიდგან მდ. ეფრატის მარცხენა ნაპირი დაუთვალიერებია და კარაკლისისკენ ოსმალების შემაგრებული ბანაკი დაუნახავს, 7 ბატალიონამდისინ. ჯარი რომ უკან დაბრუნებულა ქურთები მოსწევიან, მაგრამ ბევრი არა დაუკლიათ რა.

— 13 მაისს, ღენერალ ლორის-მელიქოვის ცხენოსანს ჯარს ცხარი ბრძოლა ჰქონია იმ ოსმალოს ჯართან, რომელიც ყარსიდამ გამოსულა. ჩვენის მხრით ერთი მოკლულა და ექვსი დაჭრილა; მტერი კი ორმოცამდე დახოცილა.

— 18 მაისს სოფ. ბეგლი-ახმეტს ახლოს ღენერალი ზაქ. ჭავჭავაძე ოსალოს ცხენოსანს ჯარს დასცემია,

---

*) ამბობენ, რომ კრავჩენკოს გადაყენებენო და მის მოადგილეთ ღენერალს ალხაზოვს ნიშვნენო.

რომლის უფროსად ღენერალი კანდუხოვი ყოფილა (ეს კანდუხოვი რამდენიმე წლის წინად რუსეთის სამსახურში იყო). ცხარი ბრძოლის შემდეგ რუსებს გაუმარჯვნიათ და სრულებით გაუფანტავთ ოსმალოს ჯარი. რუსებს შერჩათ ორი ზარბაზანი თავისის მასალით და ბარით.

— 20 მაისს ყარსის გარშემო ადგილები უთვალიერებიათ და ამასობაში წაურთმევიათ ერთი ჯოგი ცხენი, რომელიც ოსმალებს ყარსისკენ მიჰყოლებიათ და სამასი სული საქონელი.

— დაღისტანში რაღაც არეულობა მომხდარა და ამის შესახებ აი რა ამბები მოვიდა წარსულ კვირაში: 16 მაისს პოლკოვნიკის საბოილოვის ატრიადს სამსირის ხუტორი დაუნგრევია და პოლკოვნიკის ბატიანოვის ატრიადს სალათაველებისთვის დიდი ზარალი მიუყენებია.

— 17 მაისს პოლკოვნიკის თ. ნაკაშიძის ატრიადი სოფლის სიოკის ახლოს ხუთასს კაცს დახვედრია და მალიანაც გაუმარჯვნია; ოთხმოცი კაცი მოუკლავს და ასი ტყვეთ დარჩენია. მცხოვრებლებს სრული მორჩილება გამოუცხადებიათ თურმე და უთქვამთ რასაც გვიბძანებენ, იმას ავასრულებთო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

ეხლანდელმა საფრანგეთის საქმეებმა მოგვაგონეს ერთი გამოჩენილის რუსის მწერლის სიტყვები: „ჩვენის აზრით, ამბობს იგი, უმეცრებას, უვიცობას, შეცდომას გაუგებლობას და ყოველს ბოროტს მიდრეკილებას უფრო მომეტებული ძალა აქვსთ ისტორიაში, ვიდრე მართლმსჯელობას, ნათლად მხედველობას და საქმის გაგებას, ვიდრე ცოდნასა და ჭეშმარიტად კეთილს მიდრეკილებას; ისტორიის საქმე ისე მიმდინარეობს, რომ ყოველთვის ერთის გროშის მოგებისათვის მილიონები დახარჯულა. ის გზა, რომელზედაც ისტორიის ეტლი მოძრაობს, დახლართულია და ოღრო ჩოღრიანი, ასე რომ ამ ეტლში მჯდომი კაცი ბევრჯელ ტყუილ-უბრალოდ აეხეთქება და დაეხეთქება, ბევრჯელ ასს ვერსტს გადუხ-გადმოუხვევს ვიდრე ერთს ადლზედ წინ წადგება“. *)

რისთვის ააშფოთა მაკ-მაგონმა მთელი საფრანგეთი და მთელი ევროპა? საფრანგეთი, ამბობს იგი, იმ გზაზედ მიდის, რომელიც მას დაღუპავსო, და მე როგორც ჩემი სამშობლოს კეთილის მოსურნე, არ ვიზამო, რომ საფრანგეთმა თავისი თავი დაღუპოსო, უსათუოდ კეთილ-გზაზედ უნდა დავაყენოო და უსათუოდ ბოროტის ხელისაგან უნდა დავიხსნაო. საფრანგეთი პასუხად ეუბნება-ცუდ გზაზედა ვდგევარ თუ კარგზედ, ავი ვარ თუ კარგი, ვიღუპები თუ ვბედნიერდები—ჩემს მეტი ვინ არის აქ გამომკითხველი? ბატონო, ჩემის თავისა მე უფრო არ ვიცი რა მარგებს და რა მაწყენს, ვიდრე შენაო; დაგვანებე თავიო, არ გვინდა ეგ შენი ძალად ცხონებაო; ჩვენ თავს ჩვენვე შენზედ უკეთ მოვუვლითო. მაგრამ მაკ-მაგონს ისე ასტკივნია გული თავის ქვეყნისათვის, რომ მაინც იძახის: არა, შენ არა გესმის რაო, გინდა თუ არა მე უსათუოდ უნდა დაგიხსნა იმ ბოროტებისაგან, რომელიც შენს ბედს გარს დაჰსტრიალებს. სწორედ გითხრათ, ამისთანა ახირება სულელობის ნიშანია. ვის გაუგონია კაცმა კაცს ძალდატანებით მადლი უყოს? ძალდატანება და მადლი ერთად რომ ვერ ხერხდებიან!

ამ ახირებულ გულმტკივნეულებასთან მაკ-მაგონმა კიდევ სხვა ღირსებაც გამოიჩინა. მე პალატისა კი არა მთელის საფრანგეთის წინაშე ვარ პასუხის მგებელიო და ამიტომ მე პალატასთან კი არ მაქვს საქმეო, მე მხოლოდ საფრანგეთთან მაქვსო. სიცრუეცა ჰსცოდნია მაკ-მაგონს. რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც მოგეხსენებათ, ნაციონალურის კრების მიერ არის ამორჩეული და არა საფრანგეთისა, რომლის ხალხს პირად არავითარი უფლება არ მიუნიჭებია მაკ-მაგონისათვის, მაშასადამე იგი პასუხის-მგებელია უყველაზედ უწინარეს პარლამენტის წინაშე. მაკ-მაგონი კი სხვას ამბობს, აგებ ამით როგორმე ხალხს თვალი აუხვიოვო. საწყალი ხალხი! ვინც არა მგონია გამოტყუვრება და მისის სახელით ვინ იცის რას არ ჰსჩადის. რა არ მომხდარა ქვეყნიერობაზედ ხალხის სახელით ხალხისავე დასაღუპავად? ხალხს ე. ი. დაბალს ხალხს, რომელიც ყოველ ქვეყანაში შეადგენს უმრავლესობას, აქამდისინ თითქმის არავითარი ნამდვილი მონაწილეობა არ მიუღია საპოლიტიკო ცხოვრებაში: იგი ყოველ დღე შიმშილს ებრძვის და ლუკმა პურის მოპოვებაში ატარებს თავის სიცოცხლეს. ხალხი—ეს თავი და ბოლო ისტორიისა—ჩვეულებრივად ჩუმად არის და მხოლოდ მაშინ ამოიღებს ხოლმე ხმას, როდესაც მართლა დიდი გაჭირება მიადგება კარს, როდესაც სულის ამოხდაზედ მივარდება საქმე. ხალხი ადგილ-ადგილ ისეთს მდგომიარეობაშია ჩაყენებული მმართველთაგან, რომ მისი ფიქრი, მისი დრო, მისი ზრუნვა ძლივ-ძლიობით თუ ჰყოფნის ლუკმა პურის შოვნის საჭიროებასა. მას სადა ჰსცალიან თვალ-ყური ადევნოს მინისტრებისა და კონსტიტუციის მუხლთა ცვლასა. ამიტომაც ხალხს მინისტრებისა და კონსტიტუციებისა ბევრი არა ენაღვლება რა. მან მხოლოდ ეს კარგად იცის, რომ აქამდისინ ბევრი მინისტრი და ბევრი კონსტიტუცია გამოცვლილა, მაგრამ იგი კი

*) „Борьба партій во Франціи въ эпоху реставраціи“

იმავე ტანჯვაშია, მისი ბედი იგივეა რაც ადრე იყო. ხალხი თუმცა ჩუმათ არის, თუმცა ხმა გაკმენდილია, მაგრამ ყველამ იცის, რომ იგი ზღვაა, ერთი რომ დაიგრიალოს, ძალა და დიდება მისია, წინ ვერავინ დაუდგება. ყველა ჰგრძნობს ამ დამალულს და მიფარებულს ძალასა და დიდებას და მიტომ ყველა ეფერება ხალხს. ამიტომ ყოველს შემთხვევაში მის სახელსა ხმარობენ და მისის სახელით მოქმედობენ. ესე იქცევიან კარგის მოსურნენიც და ავისაცა. ევროპიის ისტორიაში ბევრი მაგალითია მისი, რომ გამოსულა რომელიმე მეთაური კაცი მოედანზედ, დაუჯერებია ხალხი შენით და შენთვის ვიღვწვით, ამით მოუხიერებია ხალხი, გაუკაფავს მისის შემწეობით თვისი გზა და ბოლოს როცა გაუმარჯვნია ხალხისათვის უთქვავს: ახლა შენ შენთვის იყავ და მე ჩემთვისაო. ამ გვარნი კაცნი რას არ იქმონენ ხოლმე ხალხის თანაგრძნობის მოპოვებისათვის? ოღონდ ხალხი კი მოიმხრონ და ესენი არაფერს არ დაზოგვენ: სინიდისსაც გადუდგებიან, ჭეშმარიტებასაც, და ყოველგვარს პატიოსანს და წმინდა გრძნობასა.

ეჭვი არ არის, რომ მაკ-მაგონი არას დაზოგავს და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ხალხის გული მიიზიდოს. ეჭვი არ არის, ეცდება დააჯეროს ხალხი, რომ მის ქვეყანას რადიკალები დაღუპვენ, რადგანაც ამათ ჰსურთ საკუთრების აოხრებაო, ცოლ-ქმრობის გაუქმებაო, ოჯახობის დარღვევაო და სხვა ამ გვარი. ამისთანა აზრის გავრცელებისათვის მაკ-მაგონი, რასაკვირველია, თავის მომხრე მოხელეებს დააყენებს. და დააყენა კიდეც. ამჟამად სამოცამდე სხვა და სხვა მაღალის თანამდებობის კაცები რესპუბლიკის მომხრენი გადაუყენებია დეპარტამენტებში და თვისი მომხრენი დაუნიშნავს ახალს სამინისტროს დიდი იმედი აქვს ამ კაცებისა, რომ ეცდებიან დეპარტამენტისა და მაუნიციპალის არჩევანში მთავრობის კანდიდატები ამოარჩევინონ ხალხსაო. ჯერჯერობით ახალს სამინისტროს ამის მეტი არა უმოქმედნია რა.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სამინისტრომ წინადვე იცის რომ დღე-მოკლეა, რომ დიდხან ვერ გაჰსძლებს. ამის გამო დიდად ჩაფიქრებულია თვის მომავალზედ. რესპუბლიკელნი ამბობენ, რომ ახალმა მთავრობამ ბევრი რომ გასძლოსო ხუთის თვის მეტს ვერ გასძლებსო. აი რა იმედით ამბობენ ამ ხუთს თვეს. როგორც მოგეხსენებათ, მაკ-მაგონმა პარლამენტი ერთის თვით დაითხოვა. ახლა როცა დათხოვნის ვადის შემდეგ კვლავ შეიყრება პალატი, გამოჩნდება რომ ეხლანდელს სამინისტროს პალატში ბევრი მომხრე არა ჰყავს, ამის გამო საჭიროდ იქმნება ან სამინისტრო გადადგეს სამსახურიდგან, ან თვით პალატი ხელახლად დაითხოვონ*) ისევ ერთის თვითა, რომ სამინისტრომ დრო მოიცეს და თვისი საქმე როგორმე მოაგვაროს. შესაძლებელია, რომ მაკ-მაგონი ამ მეორე საშუალებას მოჰკიდებს ხელს და პალატს ხელახლად დაითხოვს კიდევ ერთის თვით. ეს მეორე თვეც რომ გავა მაკ-მაგონი ნებას მოჰსთხოვს სენატს აწინდელის პალატის სრულიად დაშლისას და ახლის ამორჩევისას. თუ სენატმა ამის ნება დართო, მაშინ კანონის ძალით, სამის თვის განმავლობაში ახალი პალატი უნდა ამორჩეულ იქმნას. მაგრამ შესაძლებელია, რომ სენატმა არ მისცეს მაკ-მაგონს ნება აწინდელის პალატის დათხოვნისა და ახლის ამორჩევისა; მაშინ, რასაკვირველია თვითონ მაკ-მაგონი უნდა სამსახურიდგან გადადგეს. ასე იქმნება თუ ისე, მაინც ყველა დარწმუნებულია, რომ ეხლანდელი სამინისტრო დიდხან არ გასწევს. კარგი ის არის რომ თვითონ მთავრობაც ამ აზრისაა. ამას გვიმტკიცებს ის ტოკვა და თითქმის შიში, რომელიც მაშინვე დაეტყო მის მოქმედებას. იმავე დღეს, როდესაც ჟიულ-სიმონის სამინისტრო გამოვიდა სამსახურიდგან, ვერსალში მივიდა პარიჟიდამ დეპეშა, რომელიც აცხადებდა, რომ მთავრობა გარეშე საქმეებში იმავე სამშვიდობო გზაზედ ივლისო როგორც აქამდისინ, და კლერიკალებსაც სასტიკად მოექცევაო. ახალს სამინისტროს თითქო თავისის თავისა თვითვე შეშინებია. თუმცა ეხლა მთავრობა უარს ჰყოფს ამ დეპეშას, მაგრამ ზოგს ჰგონია, რომ ამას მთავრობა იმიტომ ჰჩადისო, რომ გულადობა გამოიჩინოსო. ახლა ჰკითხეთ მაკ-მაგონს, რად გაისადა ასე საქმე? თუ ჭკუა ჰქონდა, თავისათვის დინჯათ უნდა ყოფილიყო და მაშინ ვინ იცის? იქნება 1880წ. კიდევ ამოერჩია საფრანგეთს რესპუბლიკის პრეზიდენტათ. ეხლა კი სამუდამოდ გამოესალმოს ამ იმედსა.

მაკ-მაგონის მოქმედებამ დიდად შეაკრთა ევროპის დიპლომატია. უცხო ქვეყნების ჟურნალ-გაზეთები დიდად ჰსძრახვენ ამისათვის მაკ-მაგონსა და ჰკილავენ ამ ყოვლად უსაფუძვლო და უკანონო მოქმედებისათვის. ევროპის დიპლომატია ფიქრობს, რომ მაკ-მაგონი უთუოდ ომს რასმეს აუჩენს საფრანგეთსაო, რადგანაც ახალი მთავრობა დიდხანს ვერ გასტანსო თუ ომით არ გაიტყუვა ხალხის თვალიო. ხმა გავარდა ვითომ ინგლისსა, საფრანგეთისა და ავსტრიის შორის რაღაც რამ მოლაპარაკება გაიმართაო. მაგრამ ეს მართლა ჭორად ისმის და მართალი ჯერ არა ვინ იცის.

---

*) კონსტიტუციის ძალით რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლიან ერთსა და იმავე სესსიაში ორჯელ დაითხოვოს პარლამენტი თითო თვის ვადით.

ბისმარკმაც, რასაკვირველია, ყური აცქვიტა და დაუდგრომელს ფაცა-ფუცს შეუდგა. საფრანგეთის ამბავი რომ შეიტყო მაშინვე ბერლინისკენ გაიქცა, სადაც ხანგრძლივად საუბარი ჰქონია ვილჰელმთან.

ბისმარკს უთქვამს, რომ თუ ვინიცობაა საფრანგეთმა იტალიას ომი აუტეხა, ჩვენ უეჭველად იტალიის მხარე უნდა დავიჭიროთო. გარდა ამისა ამბობენ, რომ ვითომ ბისმარკი ცდილობსო ინგლისი და რუსეთი მოარიგოს ერთი-ერთმანეთთან ოსმალეთის გაწილადების თაობაზედ, ასე კი რომ ავსტრიასაც ჯეროვანი ლუკმა რამ არგუნოს. ერთის სიტყვით საფრანგეთის ამბის მაყურებელი ბისმარკი ცდილობს ხვალისათვის მზად იყოს და ხელები შეკრული არა ჰქონდეს.

— ინგლისი, როგორც მოგეხსენებათ, განათლებული ქვეყანაა. ისეთი ხმა აქვს გავარდნილი ქვეყნიერობაზედ, რომ დიდსა და პატარას ჰსწამს მისი წარმატებულება, განვითარება და უპირატესობა. ეს რწმენა იმოდენად ძლიერია, რომ ბევრს არა ჰსჯერა თუ აქაც მოიპოვება იმისთანა უმგზავსოება, იმისთანა უმეცრება, როგორიც მხოლოდ ბნელით მოცულს ქვეყანას შეჰფერის. ამიტომაც ყოველივე მოქმედება ინგლისისა, ყოველი მისი ქცევა სამაგალითოდ მიაჩნიათ ნამეტნავად გაუნათლებელს ქვეყანას, რომელმაც ამისთანაებში უმიზეზო თავ-დაბლობა და თავის დამცირება იცის. თუ ეს საქმე ცუდი ყოფილიყო ინგლისი არ შემოიღებდაო, იტყვის ხოლმე უმეცარი ქვეყანა და წინდაუხედავად ბრმად მიეტანება ყოველს მას, რაც ინგლისშია შემოღებული. ამას კი აღარ არჩევს კარგია, თუ ცუდი, სულელურია თუ ჭკვიანური იგი, რის მისაბაძავადაც ხელი წაუტანებია.

მაგალითებრ: ინდოეთი ინგლისს უპყრია. ინგლისის მმართველობა ინდოეთში მრავალ-გვარს ბოროტებას და უმგზავსობას ჰსჩადის. ინგლისი ჰსწოვს ინდოეთის ხალხს, ართმევს უკანასკნელს საცხოვრებელს. ამას გარდა ჰსცდილობს რომ ინდოეთის მცხოვრებთა შორის მუდამ ბზარვა და განხეთქილება იყოს, რადგანაც მისთვის საშიშარია ერთობა ინდოეთის მცხოვრებთა, რომელნიც 190 მილიონ სულს შეადგენენ. ამისთვის ინგლისი ხელს უმართავს და შემწეობას აძლევს ერთგვარს წესს, რომელიც ინდოეთში ჰსწარმოებდა ინგლისელთა შესვლამდე. ის წესი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ინდოეთის ხალხი წყობ-წყობად (კასტა) არის დაყოფილი, ვაჭარნი ერთს წყობას შეადგენენ, მეომარნი მეორეს, ხელოსანნი მესამეს და სხვანი. ერთის წყობის კაცი მეორეში ვერ გადავა, ეგ აკრძალულია ასე, რომ თუ ვაჭრის შვილია, ვაჭრად უნდა იქნეს, თუ მეომარი მეომრად და სხვა ამგვარად. ამისთანა ყოვლად უმგზავსოს და წარმატებისათვის მავნებელს წესსა, ინგლისის მთავრობა არამც თუ ძირს უკვეთს, არამედ ყოველს ღონისძიებას ხმარობს უთუოდ განაგრძოს და დაამკვიდროს, რადგანაც ამ გვარად მცხოვრებთა განთვითეულება ურთიერთის მძულვარება და მტრობა მოსდევს. ინგლისსაც ამის მეტი არა უნდა რა, რომ იმოდენა ხალხი მორჩილების ქვეშ იყოლიოს.

მაგრამ ერთი რამ კია შესანიშნავი და ყურადღების ღირსი. ამას წინად ინდოეთის ვიცე-კოროლს ლორდს ლიტტონს კალკუტის უნივერსიტეტში წარმოუთქვამს, რომ ინგლისის მთავრობა ბევრ გვარის ცვლილების მოხდენას აპირებსო ინდოეთის მმართველობაშიო და სხვათა შორის იმ ცვლილებასაცაო, რომ თანამდებობანი, რომელთაც განსაკუთრებით ინგლისელნი ასრულებდნენო, ინდოეთის ადგილობრივთა მცხოვრებთა მიეცემათო.

აქამდისინ ყველა ადგილები ინგლისელებს ეჭირათ. ეხლაც, რასაკვირველია, უმაღლესი ადგილები ისევ ინგლისელებს ეჭირებათ, რომელნიც ლონდონიდამ დაინიშნებიან. ინგლისს ეშინიან—მაღალი ადგილები რომ ადგილობრივ მცხოვრებთ დაურიგოვო, კაი თუ ინდოეთი ხელიდგან გამოეცალოსო.

აი რას იწერება ერთი ფრანციელი კორრესპონდენტი კალკუტიდამ: „1858 წლის აქედ ყველა თანამდებობა იმ კაცებს ეჭირათ, რომელთაც პირდაპირ ლონდონიდამ ნიშნავდნენ და რომელნიც ამ შემოსავლიან ადგილებს ისე უყურებდნენ როგორც ჯილდოს მთავრობის მიერ.

„ლორდის ლიტტონის მიერ გამოცხადებულის ცვლილებისაგამო ეს თანამდებობანი ადგილობრივ მცხოვრებთ მიენიჭებათ, გარდა ზოგიერთის თანამდებობისა, რომელსაც ადგილობრივ მცხოვრებს არას დროს არ მისცემენ, რადგანაც აქაურის ადმინისტრაციის დანიშნულება, ლორდის ლიტტონის სიტყვით, ინგლისის უფლების სიმტკიცეაო.

„ეს ახლად გამოცხადებული ცვლილება ყოვლად სამართლიანი და სამაგალითოა: ადგილობრივ მცხოვრებთა აქვსთ სრული უფლება თვისი საქმე თვითონვე განაგონ. აქაურებთათვის თანამდებობაში ყოფნა დიდი საქმეა. როგორც თვითონ, ისე ხალხიც ამით შეეჩვევა თვითმმართველობას. მაგრამ ბევრს ეშინიან, რომ ამ ცვლილებამ ძალა არ მოაკლოს ინგლისის უფლებას და ინდოეთმა იგივე საქმე არ უყოს ინგლისს, რაც ამერიკამ უყო.“

ჩვენ ინდოეთზედ იმიტომ მოვიტანეთ სიტყვა, რომ იგი ცხადი მაგალითია ინგლისის ავ-კარგიანობისა. ჩვენ გვსურდა ამით გვეჩვენებინა, რომ თუმცა ინგლისი წარმატებული და განათლებული ქვეყანაა, მაგრამ იქაც ბევ-

რი რამ ავია და ბევრი კარგი. ჩვენ ამის თქმა გვინდოდა, რომ როდესაც გაუნათლებელი, წარუმატებელი ქვეყანა განათლებულის ქვეყნის მიბაძვას დააპირებს, ბრმად არ უნდა აფათუროს ხელები და რაც ხელს მოხვდება ყველა იგი წინდაუხედავათ არ უნდა მიითვისოს. ავისა და კარგის გარჩევა უნდა, ყველაზედ უწინარეს, და მერე რაც კარგია მიიღოს, რაც ავია — უკუაგდოს.

—

**წვრილი ამბები.** სტამბოლში არეულობა არამცთუ არ გათავებულა, არამედ მატულობს კიდეც. დეპუტატთა პალატს ურილობა შეუწყვეტლად ექმნებაო. მუხთარ-ფაშა გადაუყენებიათ და მის მოადგილეთ, მცირე აზიის მხედრობის მთავარ-სარდლათ იზმაილ-ფაშა დაუნიშნავთ. სულთანი ადრიანოპოლში აპირებს გადასახლებასაო, რადგანაც სტამბოლში დარჩენას შიშობს. ხონთქარს ურჩევენ მითხათ-ფაშა დააბრუნოსო, თორემ უამისოდ არეულობის მოსპობა ძნელიაო.

— ათინაში დიდი ღელვაა თურმე. ძველი სამინისტრო გადამდგარა და ახალი შემდგარა. ახალი სამინისტრო დიდ მზადებას შესდგომია ომიანობისათვის.

— პრაგიდგან (ბოგემიაში) ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, რომ ჩეხიელებს დაუწვავთ პაპის სურათი და ის ქაღალდი, რომელშიაც პაპის სიტყვა ყოფილა დაწერილი რუსეთის წინააღმდეგ (პაპს ამას წინად სიტყვა უთქვამს მის შესახებ, რომ რუსის მთავრობა კათოლიკეებს სდევნისო და ცუდად ეკიდებაო).

— თესსალიაში ხალხი აჯანყებულა და ერთი ოსმალოს სოფელი გადაუწვავთ. კუმუნდუროსს (საბერძნეთის სამინისტროს მოთავეს) პალატისათვის ახალი კაბინეთის პროგრამმა წარუდგენია, რომელშიაც სხვათა შორის ორი რამ არის მოხსენებული: ქუდზედ კაცით აღჭურვა და წესიერი ომი.

— ჩერნოგორიიდგან ამბავი მოვიდა რომ მთავარს ნიკოლოზს გადაუწყვეტია რომ თვით დაეცეს ოსმალოს ჯარსა.

— პარიჟიდამ მოვიდა ამბავი, რომ მთავრობას პარიჟის მუნიციპალის პრეზიდენტი დაუტუსაღებია, მისთვის რომ მთავრობის წინააღმდეგი ცხარე და ხალხის ამამღელვებელი სიტყვა წარმოუთქვამს. ბარაქალა ახალს სამინისტროს! დიდი მხნეობა უხმარია!...

---

## თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი.

### I *)

ქლება კარი გაზაფხულისა,
დროთა ცვალებით დანაგულისა,
მოგივალსთ ჟამი სიხარულისა
თვისთანა მქონე შვებასრულისა.

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

ეჰა ჩვეულნო ყოფნას დიდებით,
აწ რად ხართ ბურვილ ჭმუნვის რიდებით?
ნუ ჰგონებთ თავთა ბედ-განკიდებით,—
ნიავმან ყვავილთ სუნთ მოზიდებით
გახაროსთ მოსვლა ფერად-მკულისა....

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

თუმცა ზამთარი აზრობს ყვავილთა,
დააგდებს ხეთა მწარედ გამრცვილთა,
გარნა ჟამთ-ცნობით მათგანვე ხილთა
ჯერ არს ველოდდეთ პირველებრ ტკბილთა,—
ეს არს ზნე დროთა სიარულისა....

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

უწყოდეთ ესე ცნობა-მყარითა,
რომ დრო მოგივალსთ კეთილ-დარითა:
იხილავთ ვარდსა სახე-მტკბარითა;
თუ არ შეჰკრთებით მისის ნარითა,
სიმხნეს მოიგებთ წამლად წყლულისა..

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

ჰოი ვინც არებთ თავის-უფლებით,
ნუ ეტრფით ვარდთა გარ-შემოვლებით!
მიესხლენით გულისა ხლებით
და თუ არ მოჰკვდეთ უდროდ დღე-კლებით,
იხილოთ განხსნა ბედ-შეკრულისა...

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

### II

ვარდო კოკობო, ყოვლთა მჯობო, მომხედე კრულსა,
მე შენსა მჭვრეტსა, განარეტსა თვალ-დაურულსა
მოვედ-მეკონე და მიმონე, მეწამლე წყლულსა,
აღთქმა გრძნობითი, წამ-ყოფითი სრულ-უქმენ გულსა,
გრძნობათა ჩემთა საკამათოვ! ვაჲ შენგან კლულსა!..

ბრძოლის ხელთ ქნევა, ზილფთა რყევა, წამ-ყოფა თვალთა,
მიშმაგვენ გულსა, შაეშფულსა, დამსდებენ ვალთა,
რათა სხვათა მათ დამტოველმან შეგიპყრა კალთა,
არ ვჰრიდო შავთა ჰინდთა ჯართა მათ დაუთვალთა
და მივესხლო ბროლსა მრჩობლით განათლებულსა,
გრძნობათა ჩემთა საკამათოვ! ვაჲ შენგან კლულსა!..

---

*) ეს ლექსი უფ. ჩუბინოვის ქრისტომატიაში იყო დაბეჭდილი, მაგრამ ზოგიერთის სიტყვის ცვლილებით.

წალკოტის კარსა, ძნელ— საკარსა შენსა მლოდესა—
ცუდ-მექმნა რეკა, ოხვრათ შექა მუნა მჯდომელსა,
ღამე მითენდა, განმიდღევდა სულ-სახდომელსა;
არ გამომხედე მე სიცოცხლე-დაუფლოვნელსა.
ამად ვიტყოდი ცრემლთა ფრქვევით მიჯნურის თქმულსა:
გრძნობათა ჩემთა საგამათოვ! ვაჭ შენგან გულსა.

---

## ვინ არიან ოსნი.

„ივერიის“ **12 №**-ში მოვიხსენეთ, რომ ინგლისის მეცნიერმა მ-რ გოუორტმა წარუდგინა ლონდონის ანტროპოლოგიურს ინსტიტუტს საბუთები, რომლის ძალითაც იგი ამტკიცებს ოსების შთამომავლობას სარმატებისაგან. ჯერ ვიდრე ოსებზედ იტყოდა რასმეს, მ-რ გოუორტს გამოუთქვამს თვისი აზრი თვით სარმატების ვინაობაზედ.

სარმატების ვინაობის თაობაზედ ბევრ-გვარი აზრია გამოთქმული მეცნიერებაში. ამ აზრთა შორის უფრო ღირს საცნობია და უფრო გავრცელებულია ორი აზრი: ერთი ისა, რომ სარმატნი გერმანიელნი ყოფილან და მეორე ისა, რომ სარმატნი სლავიანები ყოფილან და ახლანდელის სლავიანების წინაპარნი არიანო. ეს უკანასკნელი აზრი უფრო გავრცელებულია ინგლისში, რადგანაც სახელოვანი მეცნიერი ლატამი ამას ამტკიცებდა. გამოჩენილმა სლავიანთა მეცნიერმა შაფარიკმა ცხადად დაამტკიცა, რომ სარმატები სლავიანები არ ყოფილან. მისი მომხრე ინგლისის მეცნიერი ჯენტი ამ საგანზედ სხვათა შორის ამბობს: „უფრო ადვილად მისაღებია, რომ სარმატების ჯიში სრულიად ამომწყდარია ქვეყნიერობაზედ, ვიდრე ის, რომ სარმატები სლავიანების წინაპარნი არიან.“ მ-რ გოუორტის აზრით, სარმატების ჯიში არამც თუ ამომწყდარია, არამედ მაგ ჯიშს ძლიერი შტო დაშთენია კავკასიაში, სახელდობრ, ოსები.

რომ ოსები მომდინარეობენ სარმატთაგან, მ-რ გოუორტი ამ აზრს აფუძნებს ვივიენ სენ-მარტენის გამოძიებაზედ. ვივიენ სენ-მარტენი, იძიებს რა კავკასიის პირველ ყოფილთა მცხოვრებთა, ამბობს, რომ ევროპაში ცნობილი სიტყვა „ოსეტინ“ წარმომდგარია ქართულის სიტყვისაგან „ოსსეთი“, რომელიც ნიშნავს ოსთა ქვეყანას და რომელიც შემდგარია სიტყვიდამ „ოს“ და „ეთი.“ მაშასადამე „ოსეტინ“ წამხდარი ქართული სიტყვაა და როცა ოსებს ვიხსენიებთო, ამბობს სენ-მარტენი, მათ სახელად უნდა ვიგულისხმოთო „ოზი, უზი, ოსი, ანუ ასი.“ თვით ოსნი კი თავის თავს უწოდებენ „ირ“, ანუ „ირონ“ და თავის ქვეყანას „ირონისტან.“

ბათო რომ თავისის მონგოლებით შესია ვოლგისა და დონის ნაპირების ქვეყნებს, მაშინ იქა მცხოვრებთა ბინადრობა დიდად შეიშალა. ეს კი ვიცით, რომ მონგოლებმა ააოხრეს მრავალი კეთილ განშენებული ქალაქნი ოსებისა, რომელთ ბინადრობა მაშინ თერგამდე უნდა ყოფილიყო. ისიც ცნობილია, რომ ოსები ვერ იყვნენ კარგად ყირიმის ხანებთან და ამის გამო იძულებულ იქმნენ დაეცვებინათ თავი თავისის მინდვრებისათვის, რადგანაც ყირიმის ხანის მოხარკენი ჩერქეზნი მეტად აძალებდნენ. ოსები გამოდევნეს ყაბარდოდამ და დაიმორჩილეს ჩერქეზთა და ამათ მოხარკედ დარჩნენ იმ დრომდე, ვიდრე რუსეთმა ჩერქეზებს ძალა არ ჩამოაცალა. ეს მთის ჩრდილოთ მყოფ ოსებზეა სათქვამი. ის ოსნი კი, რომელნიც მთების სამხრეთ ჰცხოვრებდნენ, საქართველოს მორჩილების ქვეშ იყვნენ. ამას ამტკიცებს ჰაქსტჰაუზენი, რომელიც ამბობს: „რომელს ოსთანაც კი მე შემხვედრია ლაპარაკი, მიცვნია რომ მათ ძალიან ბუნდათ ახსოვთ პირად გადმოცემული ამბავი თვის შთამომავლობისა, გადმოსახლებისა და ისტორიისა. იგინი ამბობენ, რომ მათი წინაპარნი მთების იქით, ჩრდილოდამ გადმოსულან; რომ წინად მათ უცხოვრიათ იმ ადგილებზედ, სადაც ეხლა ჩერქეზნი არიან და იქიდამ სხვა ჯიშის ხალხთა ძალდატანებით გადმოსულან აწინდელს თავის ადგილზედა.“

ერთი იმ ტომთაგანი, რომელთაც გამოუდევნიათ ოსნი, ბოლოს თვით გამოდევნილ ყოფილა და გაფანტულა. ეს ოსების გამომდევნელი ტომი უსათუოდ ძველის უმანების შთამომავალი უნდა ყოფილიყო. ეს უმანები ბოლოს გამოდენილ იყვნენ ყაბარდოდამ ჩერქეზებთაგან.

ამ სახით ადვილად მისაღებია, რომ მონგოლების შემოსევამდე ოსებს უცხოვრიათ მთების ჩრდილოდ თერგამდე, ამათი მესამზღვრე დასავლეთით ჩერქეზნი ყოფილან და აღმოსავლეთით სხვა ტომნი კავკასიისანი.

თერგს იქით დიდი და ვრცელი მინდვრებია, რომელთაც თიურქის (**Тюркскій**) ელის-ხალხნი (ნომადები) უწოდებენ „დეშტ ყიპჩაკდა.“ ესე იგი, ყიპჩაკის მინდ-

გრებად. ეს ყიფჩაღნი იგივე ყუმანები არიან, იმიტომ-რომ, ბიზანტიის ისტორიკოსების მოწმობით, ყიფჩაღი ადგილობრივი სახელ-წოდება იყო თიურქის ყუმანებისა.

უეჭველია, რომ სპარსელთა ყუმისტანი და არაბთა ყუმუხი წარმომდგარია იმ მდინარის სახელწოდებიდამ, რომელსაც ყუმა (**Кума**) ჰქვიან და რომელიც ხსენებულს მანდვრებს შუა მიდის და ერთვის კასპის ზღვასა. რომ ყუმანები შედარებით ამ მოკლე ხანს გადასახლდნენ ვოლგის ნაპირებზედ—ამაზედ ეჭვი არ უნდა იყოს. და მართლადაც იგინი გადვიდნენ ვოლგას მეათეს საუკუნეში. ამის გამო „ყუმანები“ და ძველთა არაბის მწერალთაგან მოხსენებულნი „ყუმუხები“ ერთი და იგივე არ უნდა იყვნენ. ამ ყუმუხებზედ ძველნი არაბის მწერალნი მოგვითხრობენ, რომ უდიდესი ნაწილი კავკასიის მცხოვრებთა მაჰმადიანებათ მოაქციესო და ამასთანავე არაბთა დაიპყრესო ყუმუხნი, რომელნიც ორად განიყვნენო: ყაზი-ყუმუხებად (მართლ-მორწმუნედ) და ლეკებათ ანუ ყაფირ-ყუმუხებად (არა მართლ-მორწმუნედ). გოუორტი ამტკიცებს, რომ მაგ არაბთაგან დაპყრობილთ ყუმუხების შთამომავალნი ყაზი-ყუმუხები და ყარა ყაითაყები არიან დაღისტანშიო.

ამ სახით ჰსჩანს რომ თიურქის ყიფჩაღნი და მონგოლნი მოესივნენ ევროპას ერთ და იგივე დროს, განდევნეს საშინელი ხაზარნი და შერეკეს დაღისტნის მთაბარში, სხვა ტომნი კი წაჰსწიეს სამხრეთისაკენ.

ეხლა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამათ შემოსვლამდე ოსნი, ანუ ასნი ჰსცხოვრებდნენ ქვემო დონზე. ეს სარწმუნოა არა მარტო იმით, რომ ოსთა პირად-თქმულობა ამას ამტკიცებს, არამედ მითაც, რომ რუსთა მატიანენიც ამის საბუთს გვაძლევენ. ნესტორი მოგვითხრობს რა ხაზარების დამარცხებას სვიატოსლავისაგან 965 წ., ამბობს, რომ სვიატოსლავმა დაიპყრო აგრეთვე იასსნი და ყოსოგებიო. ეს ყოსოგები ჩერქეზნი არიან. ჩერქეზთა ქვეყანას მეათე საუკუნეში ყასაგია ერქვა და თვით ჩერქეზთა ოსნი, ანუ ასნი ყასაგებს უწოდენ. 1029 წ. იაროსლავმა მრავალი ტყვე წაიყვანა იასსებისაგან რუსეთს. კარამზინი ნესტორის სიტყვით ამბობს: „იაროპოლკმა, მესამე შვილმა მონომახისამ 1116 წელს ძალიან გაიმარჯვაო დონზედ. მან წაართვა პოლოველებსა, ესე იგი, ყუმანებს ქალაქები: ბალინა, ჩეხლუევი და სუგროვი და ბევრი მათში მცხოვრებნი იასსნი ტყვედ წაასხაო. ტყვეთა შორის ერთი უმაწვილი გასათხოვარი ქალი იყოო, რომელიც ცოლად შეირთოო.“ დასასრულ ესეც უნდა ითქვას, რომ მაგ ადგილების დედაქალაქი იყო აზოვი, ძველი სახელწოდება ამისი არის აზა, წარმომდგარი ოსთა სახელწოდებისაგან, ესე იგი ოსი-ანუ ასი-საგან.

ამ გვარად სარწმუნოა რომ მეოტისის და დონის ახლო მეათე საუკუნეს ოსნი არსებობდნენ. მეათე საუკუნის უწინ კარგა ხანი უძველეს დრომდე ოსებისა აღარა ისმისრა ისტორიაში. უძველესის დროთა მწერალნი კი გვაცნობებენ, რომ მათ დროს ასნი, ანუ ოსნი ამ ადგილებშივე ჰსცხოვრებდნენ.

დასავლეთის ისტორიის უძველესს დროში ხსენებულია ვოლგისა და დონის შუა ვაკე-ადგილნი ყუბანი და ყირიმი, რომელთა ზედაც ჰსცხოვრებდნენ სხვა და სხვა თემნი. ამა თემთა სახელწოდებანი წარმომდგარნი არიან პირველ ყოფილის ტომის სახელიდამ. ეს პირველ ყოფილი ტომი არის მადაელთა, ანუ მიდიელთა ტომი. ყუბანისა და ყირიმის მცხოვრებთა თემთა შორის ცნობილ არიან სავრომატნი, ანუ სარმატნი, იაქსამატნი, ხარიმატნი, ტისსამატნი, აღამატნი და სხვანი. შთამომავლობითი ერთ-სისხლობა ამა სხვა და სხვა წოდების თემთა (მაგალითებრ „მეოტიელნი“ სტრაბონისა) იქიდამა ჰსჩანს, რომ პლინიოსი ამ თემებს ყველას ერთად სარმატებად ჰრაცხს. ვივიენ სენ-მარტენი ამბობს, რომ გვარტომობითი სახელ-წოდება მიდიელთ ტომისა სიტყვა „მეტ“ არისო. ებრაელნი ჰსწერდნენ „მადაი,“ ძველნი პარსნი—„მად,“ სომეხნი—„მატა.“ აქედამ ცხადია, რომ „მაიტაი“ და სპარსელთა მწერალთა მიდიელნი ერთი და იგივეა. ძნელი არ არის დამტკიცოს, რომ ესენი მართლადა ერთი და იგივე ხალხია.

სიტყვა „სარმატი“ ანუ, როგორც ბერძნები ჰსწერდნენ, „სავრომატი“ არის შემდგარი სიტყვისაგან „სარ“ ანუ „სავრო“ და სახელიდამ „მეტ.“ ზოგიერთი მწერალი ამბობს, რომ სიტყვა „სარ“ იმასვე ნიშნავს რაც არიული სიტყვა „საურ, სარ, ანუ სერ“. არიული სიტყვა „საურ, სარ, ანუ სერ“ ნიშნავს „თავს.“ რადგანაც თავი იმისთანა ნაკვთსა ნიშნავს, რომელიც განაპირებულია და რომლითაც იწყობა თუ თავდება სხეული რამ, ამის გამო გამოჰყავთ, რომ სიტყვა სარმატი ანუ სარმეტი ნიშნავსო განაპირებულს ხალხს მიდიელთ (მეტ) ტომისას

ჭკე იგი, იმ ხალხსა, რომელს იქითაც მიდიელთ ტომი აღარ ყოფილა. შაფარიკი ამბობს, რომ ზოგიერთ აზიურს ენებშორის სიტყვა „სარ“ ნიშნავს უდაბნოსა, ანუ დაცემულს მინდორსაო და საბუთად მოჰყავს ის, რომ ყირგიზ-ყაისაკნი თავის თავს უწოდებენო „სარ-ყაისაკ.“ გატტერერს სარმატის სახელწოდება გამოჰყავს ლიტვურის სიტყვიდამ „საურე“, რომელიც თარგმნის ჩრდილოეთად და ამის გამო ამტკიცებს, რომ „საურმატი“ ნიშნავს „ჩრდილოს მიდიელთ.“ სიტყვა „სარ“ სხვა და სხვა უგრთა ენაში ნიშნავს ყვითელს, ამის გამო სარმატი შეიძლება ითარგმნოს ყვითელ მიდიელად.

ეფორი იაქსამეტებს სარმატებზედ ჰრაცხს. ამგვარადვე იაქსამატნი ხსენებულნი არიან სკიმნესა და სტეფანე ბიზანტიელისაგან. ეს მწერალნი ამბობენ, რომ იაქსამატნი სარმატების ქვეყანაში ჰსცხოვრებდნენო. მწერალი მელლა მოგვითხრობს, რომ იაქსამატის დედა-კაცები ისე იცავდნენ და ისვრავდნენო, როგორც სარმატისანიო.

ერთის სიტყვით შაფარიკის, სენ-მარტენის და სხვათა მწერალთა აზრს თუ დავეფუძნებით, უეჭველია, რომ სარმატნი მიდიელთა ტომისანი არიან და იაქსამატნი სარმატის შტოისანი. თვით სიტყვა იაქსამატი შედგარის სიტყვებიდამ „იაზ“ ანუ „აზ“ და „მატაი“. „მატაი“ მიდიელთ სახელია, „აზ“ ანუ „იაზ“ ოსების. ამისგამო იაქსამატი სხვა არა არის რა გარდა მიდიელ-აზი, ანუ იაზი. ეს სიტყვა იცოდნენ უწინ ნამეტნავად მაშინ, როცა ესხილმა აღწერა წვალება კლდეზედ მიბმულის პრომეთეოსისა. იგი ამბობს, რომ პრომეთეოსი დაბმული იყოვო იმ ხალხთა შორის, რომელიც სცხოვრობს „წმინდა“ ქვეყანას აზიაში, კავკასიის კლდეთა ძირშიო. ამ სახით უეჭველია, რომ ამ „წმინდა“ ქვეყანაში მცხოვრებთ ასების თუ ოსებისაგან დაერქვა სახელი თვით დიდ აზიის ხმელეთსა.

ზემო თქმულიდამ ცხადია, რომ იაქსამატი იყო სარმატის ხალხის ნაწილი და სარმატი იყო ხალხი ნამდვილ მიდიელთაგან მოწყვეტილი.

გოუორტს მოჰყავს ძველნი მწერალნი, რომელთაც ოდესმე უთქვამთ რამე სარმატებზედ.

პირველი მწერალი არის ჰეკატეოსი, რომელსაც უცხოვრია მეექვსე საუკუნეში ქრისტეს წინ და ორმოცდაათის წლით ჰეროდოტეს წინ. ამის თხზულების ნაშთი „პერიეგეთ“ ცნობილი, სტეფანე ბიზანტიელს აქვს მოყვანილი. ჰეკატეოსი მოგვითხრობს, რომ იქსიბატნი, ანუ, როგორც სენ-მარტენი უსწორებს, იაქსამატნი სინდიკის ახლო პონტოს ნაპირებზედ ჰსცხოვრებდნენო. ეს სიტყვა-სიტყვით იგივეა, რასაც სტრაბონი ამბობს ბოსფორის ასსებზედ. ესხილი, რომელიც თითქმის თანამედროვე იყო ჰეკატეოსისა, იხსენიებს აქვე მცხოვრებთ ასსებსა. ამ სახით ჰსჩანს, რომ სარმატნი ძალიან ძველს დროს ყოფილან და ცნობილ არიან ძველთაგან ასსიების, ანუ იაქსამატების სახელ-წოდებითა. ეს სახელები უთუოდ ადგილობრივი სახელები ყოფილა. ამ ჰეკატეოსის შემდეგ ჰეროდოტე იხსენიებს სავრომატებს, და ამბობს მეოტისელთ ზემოდ ჰსცხოვრებენო. იგი მოგვითხრობს, რომ იგინი ლაპარაკობენ სკვითის ენასაო, მაგრამ ამ ენას კარგად არ იციანო. მათის მხრის კანონითაო, ქალი ვერ გათხოვდება იმ დრომდე, ვიდრე ომში მტერს ვისმეს არ მოჰკლავსო; ზოგიერთი სიბერემდი გაუთხოვარი რჩება ხოლმეო, რადგანაც შემთხვევა არ მიჰსცემია მტერი მოეკლა სადმეო. როცა დარიოსი დაეცა სკვითებს სარმატნი მიემხრნენ სკვითებსაო და მათის მხედრობის ნაწილნი შეიქმნენო. ჰეროდოტის შემდეგ 390 წ. ქრისტეს წინ, ანუ, ნიბურის სიტყვით, 360 წ. სკილაქსი იხსენიებს სარმატებს ტანაისის დასავლით და სავრომატებს ტანაისის აღმოსავლით. ცხადია, რომ ეს ორივე სიტყვა ერთი და იგივე ხალხის სახელია.

ევდოქსი (379 წ. ქრისტეს წინ), რომლის სიტყვებიც მოჰყავს სტეფანე ბიზანტიელს, აჩვენებს, რომ სარმატნი ჰსცხოვრებდნენ დონის დასავლით. მას შემდეგ ისტორიკოსი ეფორი იყო, რომელიც ჰსცხოვრებდა 355 წლის ახლო-მახლო ხანებში. სტრაბონს მოჰყავს ამ ეფორის შემდეგი სიტყვები: „დიდი განსხვავება არის სარმატების და სხვა სკვითების ცხოვრებათა შორის, რადგანაც ერთნი მეტად ბრიყვნი არიან და კაცის მჭამელნი, მეორენი კი ხორცეულს სულ არ ეკარებიანო“. არის ერთი თხზულება, რომელსაც სათაურად აქვს: „ჰაერისა, წყლისა და მიწისათვის“ და რომელიც სკილაქსის დროისა უნდა იყოს და იქნება ამაზედ კიდევ უძველესიც. ამ თხზულებაში ხსენებულ არიან სარმატნი, რომელთა დედა-კაცნი მეომარის გულისანი ყოფილან და რომელიც მდგარან დონზე სკვითებთა შორის.

ჯოლიენი, მწერალი ქრისტეს აქეთ მეორის საუკუნისა, ეფუძნება არა მართალთა და ნამდვილთა წყაროთა, მოგვითხრობს, რომ ბოსფორის მეფემ სატირ, რომელიც მეფობდა 349—311 წ. ქრისტეს წინ, უბრძანა სინდთა მეფეს გაეშვა თვისი ცოლი იქსამატთა გვარ-ტომისა და შეერთო ქალი მის სატირისა. განრისხებულს დედოფალს მოუმხრია ხალხი და ხალხის შემწეობით სამაგიერო გადუხდია რამდენსამე ომში. ნიბური ამბობს, რომ მაშინ როცა ბოსფორის მეფის პარიზადის შვილებ შორის 311 წ. ქრ. წინ ბრძოლა იყოვო, სარმატნი ჯერ კიდევ თავის უწინდელს ადგილს ცხოვრებდნენ დონზედაო.

სარმატია დიდხანს თითქმის ბოლოს დრომდე იყო სახელ-წოდებად სამხრეთის რუსეთის ვაკეებისა. სარმატები ყოფილან ოლვიის მახლობლადაც დიონის დროს და მეოტიის მახლობლად ლუკიანეს დროს. იგინი ყოფილან იმას იქითაც, პანნოვიის მინდვრებში და აქ იგინი რომაელებს დაუცხრომლად მტრობდნენ.

ეს დასავლეთის სარმატნი არიან. ამ სარმატებზედ მარტო ის უნდა ითქვას, რომ იგინი ორად იყვნენ გაყოფილნი რომაელების დროს: როქსოლან-ებად და იაზიგებად. ეს უკანასკნელი სიტყვა გვაგონებს ძველს სახელსო სახელ-წოდებას ოსებისას, სახელდობრ „იასი, ასი“ და მაშასადამე აქედამაც მტკიცდება, რომ სარმატნი და ოსნი ერთი და იგივე არიან. როცა გუნნების დიდი შემოსევა მოხდა, მაშინ სარმატნი ნაწილ-ნაწილ განიფანტნენ. ხოლო მგზავსად სხვა ელის-ხალხთა, რომელიც ტრიალ მინდვრებზედ ცხოვრებდნენ და განდევნილ იქმნენ მტერთაგან დასავლეთისკენ ვოლგის იქით, ერთი ნაწილი სარმატთა დარჩა იმ მაგარს და უვალს ადგილს, რომელიც მდებარეობს კასპიისა, პონტო-ევქსინის ზღვისა და კავკასიის შორის.

ზემოდ ნათქვამია რომ სიტყვა სარმატი არის მხოლოდ მეორე სახელ-წოდება ასებისა, ანუ იასებისა. ფრიად ღირს საცნობია, რომ ჯერ კიდევ პტოლომეოსის დროს მეოტისის ნაპირებზედ ყოფილა სამი ქალაქი, რომელთ სახელ-წოდებაში ისმის ნაკვთი „აზ“, სახელდობრ: აზარა, აზაბეტისი და აზარაბა. პტოლომეოსი იხსენიებს ერთს თემს ოსილიად ეხლანდელის აზოვის სიახლოვეს. ამაზედ უწინ სტრაბონი იხსენიებს ასპურგიტებს, ესე იგი, ქალაქს ასში მცხოვრებთა და ეს „ასი“ ეხლანდელისა და შუა საუკუნოების აზოვია.

გარდა ამისა რაც ზემოდ ითქვა სარმატებისა და ოსების ანუ ასების ისტორიულ კავშირზედ, შემდეგი საბუთებიც ცოტად თუ ბევრად ეხმარებიან მ-რ გოუორტის აზრსა. ადგილობრივი სახელი ოსებისა არის „ირონი“ და მათის ქვეყნისა „ირონისტან.“ ამავე დროს ირან სპარსეთისა და მიდიის სახელია. ეს სახელი გამოჩენილია სასანიდების ფულზედაც, ამ გვარის მეფენი იწოდებოდნენ „მალკა მალკანი ირან,“ ესე იგი ირანის მეფედ-მეფედ. ჰეროდოტე ამბობს: „მიდიელთა ჰქონდათ იმ გვარივე ტანსაცმელი როგორც სპარსთა. და თვით საცმელ-სახურავიც, რომელიც ორთავე ამათ აქვსთ უფრო მიდიური, ვიდრე სპარსული. ამათი მოელვარე ტიგრან ახამენიდის გვარისაა. ამ მიდიანელთა უწინდელს დროს ყველა სხვა ხალხი არიებს უწოდდა.“ ოსები სახის მეტყველებით, გარეკანის იერით, ტანისამოსით მეტად განსხვავებულნი არიან კავკასიის სხვა და სხვა ტომთაგან და უფრო დაახლოებულნი არიან ევროპიელებთან. ლურჯი თვალები, ქერა თმა ხშირია ოსებ შორის და შავითმა ძალიან იშვიათია (კლაპროტი). მაგრამ იმათი შთამომავლობა მიდიელთაგან ყველაზედ ნათლად მტკიცდება მათის ენით. კლაპროტს მოჰყავს გრძელი სია ოსურის სიტყვებისა და მათ პირ-და-პირ სპარსულისა და მის მონათესავე ენებისა, რომელნიც ერთსა და იმავეს ნიშნავენ; კლაპროტის მოყვანილი სიტყვები შეამოწმა და გაამართლა სიოგრენმაც, რომელიც კლაპროტსავით ამბობს, რომ ოსური ენა უნდა ცნობილ იყოს არიულ ენად, იმიტომ რომ ყველაზედ მეტად სპარსულსა და მიდიურს ჰგავსო. ხოლო შეთვისებული აქვსო ზოგიერთი ბარბაროზული ნაწილაკი, რომელნიც იქნება სკვითურისაც იყვნენ, რადგანაც, დიოდორის მოწმობით, სარმატნი სკვითებისა და მიდიელთა შერეულნი შთამომავალნი არიან და ჰეროდოტეს სიტყვით კი, სარმატნი ლაპარაკობდნენ სკვითურს, თუმცა არა წმინდად.

გარდა ამისა სხვა საბუთებიც არის გოუორტის აზრის დასამტკიცებლად. უპირატესნი მდინარენი ოსეთისა არიან: არდონ, ურდონ, დუგორ, ფოგ, კსანი და სხვ. პირველს ორ სიტყვაში ნაკვთად არის „დონ,“ რომელიც ძირი-სიტყვაა ტანაისი-სა (ეხლანდელი დონი), დანაპრაისა ანუ დნეპრი-სა და დანასტრა-ისა, ანუ დნესტრი-სა. ეს

ტანაისი (ეხლანდელი დონი), დანაპრი, (ეხლანდელი დნეპრი) და დანასტრი (ეხლანდელი დნესტრი) უმთავრესნი მდინარენი იყვნენ სარმატიისა. „დონ“ დღესაც ოსურად მდინარეა. „ფოგ“ ცხადია, რომ ეხლანდელი „ბუგია“ მდინარე სამხრეთ-დასავლეთის რუსეთისა. ამ სახით სარმატის სახელწოდებანი მგზავსს სიტყვებს და სახელებს პოულობენ ოსურს ენაში, აგრეთვე მის მონათესავე სპარსულს და მიდიურს ენებშიაც. შაფარიკი ამბობს, რომ სარმატის სახელწოდებანი: არზაკ, ატაკ, ბადაკ, და სხვ. სპარსელებთა და მიდიელთა შორისაც ისმისო ცოტაოდენის ცვლილებითა (მაგალითებრ: არმაკ, არზაკ, ბაზაკ) და შემდგარნი არიანო სიტყვიდამ „აკ“ ანუ „ას,“ რომელსაც ზედ დართული აქვს სხვა და სხვა საგნის აღმნიშვნელი ნაკვთიო. ამ გვარადვე სარმატული სახელები „აძნაგ, აბრაგ“ და სხ., რომელთშიაც ისმის მარცვალი „აგ“, ადვილად ეთანხმება სპარსულს და მიდიურს ასტიაგ-ს, გარპაგ-ს და სხვ.

ყოველივე ზემოხსენებული ნათქვამი შაფარიკისა ვივიენ სენ-მარტენისა და სხვათა რომ ერთად შევკეცოთ, სამყოფი საბუთი გვექნება დავასკვნათ, რომ კავკასიის ოსები ძველის მწერლებისაგან ხსენებულის სავრომატების, ანუ სარმატების შთამომავალნი არიან.

(Journ. of the Anthr. pol. inct. July 1876. Знаніе. 1877. № 2.)

---

## ოსმალოს საქართველო

### აჭარა

ოსმალოს საქართველოსზედ აქამომდე თუ რამ თქმულა, საერთოდ თქმულა. ეხლა საჭიროდ ვხედავთ თვითოეულად, ყოველ ნაწილზედ ცალკე ზოგიერთი ცნობა მოვიტანოთ. პირველად მოვიხსენოთ აჭარა, რომელიც ჩვენზე ახალციხის და გურიის მხრით ძალიან დაახლოვებულია.

აჭარაში ყველამ იცის რომ ჩამომავლობით ქართველია და მამა-პაპა ქრისტიანები ჰყოლიათ, გვერდით მეზობლათ ჩვენში ძმები და სახლიკაცები, ნათესავები ჰყავს, უფრო სამზღვარზე ახლო მცხოვრებნი ჩვენკენ თითქმის ქალაქამდე დაიარებიან სავაჭროთ. ძველის წარსულის ცხოვრებისა სახელოვანი მეფეები ახსოვთ, თამარ დედოფლისა სახელი როგორც სამზღვარ აქეთ მხარეს ყველა სოფელში იციან, აგრეთვე აჭარაშიაც იციან. ერეკლე მეფეს მეორეს თუმცა არ უმეფნია, სახელი კი გავარდნილი აქვს და ლექსებშიაც თურმე კი მოიხსენებენ, რომელნიც ჩვენის მხრით გადასულა. მაგალითად ასპინძის ომზე.

აჭარა ეკუთვნოდა სამცხე-საათაბაგოს და ეხლანდელ ახალციხის და ახალქალაქის უეზდებთან შეადგენდა ერთს საერისთაოს. ქართლ-კახეთის სამეფოს იმაზე დიდი კავშირი ჰქონდა და ხშირად ქართლს ემორჩილებოდა. წარსულ საუკუნეში თეიმურაზ მეფე მოწადინებულიც იყო საათაბაგოს და საკუთრად აჭარის დაპყრობასა. შაჰაბაზისაგან განადგურებული, მერმე ქართლ-კახეთის მეფების ერთმანერთის ომით და ლეკთა ოსმალოთა შემოსევით დასუსტებული ქართლ კახეთი ერეკლე მეფემ იმდენად აღადგინა, რომ ის მარტო ზრუნავდა ახლად შეერთებული ქართლ-კახეთი წელში გამაგრებულიყო და გარეშე მტრისთვის ფეხი არ გადმოედგმევინებინა. დიდი სიძლიერე, თითქმის ზესთაბუნებითი ღონე უნდა ჰქონოდა ამ საკვირველ კაცსა, რომ 54 წელიწადში თავის მეფობის დროს, ასე ცოტას ხანში განადგურებული ქართლ-კახეთი აღედგინა ლეკთან, ხანებთან, ოსმალთან და სპარსთან ბრძოლის დროს! ერეკლეზე უფრო ბედნიერს გარემოებაში მყოფი უეჭველია ახალციხის ფაშას, ძველ ათაბეგების ჩამომავალს მიიმხრობდა მთელის სამცხე-საათაბაგოს და აჭარის დაპყრობისათვის. შესაძლებელიც იყო, რადგან ახალციხის ფაშებს ოსმალები სძულდათ, ოსმალოს მმართველობის ხსენება არ იყო, იმის შემოტანას ეურჩოდნენ კიდეცა ახალციხის საფაშოში, მხოლოდ სახელით ხვანთქარს ემორჩილებოდნენ, თორემ სხვაფრივ თავისუფალნი იყვნენ. ამიტომ ადვილად შეიძლებოდა რომ სრულიად თავისუფლების მსურველი ახალციხის ფაშა ერეკლეს მოსდგომოდა, მაგრამ ერეკლე რასაკვირველია არ მოინდომებდა ოსმალოს საშინელს ატეხასა და საქართველოს სრულებით დაცემასა. ასპინძას დიდათ გაიმარჯვა და წინ წასვლა შეეძლო, მაგრამ დადგა.

აჭარა, როგორც ვთქვით, სანამ სამცხე-საათაბაგო ოსმალოს დაემორჩილებოდა 2625 წლამდის ქართლის მოკავშირე და მორჩილი იყო; რამდენჯერმე კი გურიას ეურთდებოდა როგორც მაგალითად 1609 წელსა გურიელის მამია მეორის დროსა. ქრისტიანობა შეირყა მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსა, მაგრამ ამ ასის წლის წინათ ქრისტიანობა თითქმის ნახევრათ დარჩომილიყო. ოსმალოს წესები მხოლოდ ამ ორმოც-სამოცის წლის წინათ შემოვიდა.

ოსმალოს მმართველობის შემოტანაში, რასაკვირველია ძალა მუშაობდა; მაგრამ ამასთან კი უფრო ბეგების გვარებმა დიდი შემწეობა მისცეს. ქვედა აჭარაში

(სოფ. მერისი) თავდგირიძეებმა და ზედა აჭარაში, ფოცხოვზე ახალციხის სამზღვარზე (სოფ. სხალტას, ბაკოს) ხიმშიაშვილებმა და სხვებმა. მომატებული ერთგულება ოსმალებს ხიმშიაშვილებმა გაუწიეს და ამისათვის მეტი არ იქნება ამ ბეგის გვარის ამბავი მოვიხსენოთ.

ხიმშიაშვილებისაგანი ეხლანდელი ბეგის შეფის პაპა ერთი უბრალო კაცი იყო. რადგან ძალიან გონიერი და შეძლებული კაცი გამოვიდა დიდი სახელი გაუვარდა აჭარაში; თითონაც ბეგობა დაირქვა, რადგან ძველი თავადიშვილის ჩამომავალი იყო. ამისი შვილი სელიმ მამის კვალზე წავიდა. წარსული საუკუნის დასასრულს, ათაბეგების უკანასკნელ ჩამომავლის შარიფ-ფაშის დროს არეულობა მოსდა ახალციხეში; სელიმმა დრო იხელთა და აჭარაში გაძლიერდა და ახალციხის ფაშას აღარ ემორჩილებოდა. ფაშის ურჩობა იმ დროს არავის არ აკვირვებდა. 1802 წ. სელიმ ბეგმა თავისი საყმო აჭარა შეჰყარა და ახალციხიდამ შარიფ-ფაშა განსდევნა. ამ გვარათ უბრალო ბეგი ფაშად შეიქმნა და რასაკვირველია ამ გარემოებას ხიმშიაშვილების გვარზე ბევრი კარგი და ავი გავლენა ჰქონდა.

მაგრამ სელიმ ფაშის ბედმა დიდხანს არ იმუშავა 1805 წელს ხვანთქრის რისხვა მოადგა და ახალციხიდამ უნდა გაქცეულ იყო. ხიმშიაშვილს ფაშობის ჩამორთმევის გარდა მთელის ცოლშვილით განუჩინეს სიკვდილი შარიფ-ფაშა რამ წამს ისევ დაბრუნდა ახალციხეში, ხიმშიაშვილს სელიმ ფაშას დაეძებდა. ორჯელ ჯარები გაგზავნა აჭარაში, მაგრამ ვერა გაარიგა რა. ხიმშიაშვილმა სელიმმა თავის დასაცველათ რუსის მთავარმართებლებს რტიშჩევს და პაულიჩჩს მეგობრობა დაუწყო; შვილები ახმეტ და აბდი გურიის მთავარს მამია მეოთხეს გაუგზავნა. მაგრამ სელიმ-ფაშა დიდხანს ვეღარ გამაგრდა აჭარაში. 1815 წელს აზრუმის ფაშამ ჯარი გაგზავნა, სელიმ ხიმშიაშვილი შეეფარა ზედა აჭარაში ხირხათის ციხეში, რომელიც აჭარლების სიტყვით თამარ მეფის აშენებულია და სოფელ ბაკოს ახლოსა სდგას. აქ კარგა ხანი გამაგრდა, მაგრამ ბოლოს ღალატით გასცეს, თავი მოსჭრეს და სტამბოლს გაგზავნეს.

ეს ქვემოხსენებული ეხლაც აჭარაში სამღერი ლექსი, მერისის მცხოვრებლის სიტყვით დაწერილი, ვგონებთ ამ არეულობის დროს უნდა ეკუთვნოდეს:

ჰაი გიდი ჩახალ-ოღლი! 1) ერთხანაც გიქრიდა ქარი.
შემოადგები ოლქაობა 2), ხომ არ ქენი კაი ქარი.
ფაშას ყული 3) დეუმგურიე, სასახლეს გეუდე მხარი.
სელიმ-ფაშამ რო შეიტყვა, შეიქნა რომ ჰერსით 4)მთვრალი:
—ჩახალ-ოღლი შემირიგდი, გავაკეთოთ ბარიშალი 5)
ასრე ვნახოთ ერთმანეთი, ვითარცა რომ და და ძმანი.
თუ მე არ მომენდობი, ბოლათ 6) შეიყარე ჯარი.

შუა ტეზე რომ გადმეარე, იქ გადმეიტანე თარი
ადიგვე 7) რომ ჩამეარე, მეიდანს ჰკამე სამხარი,
ქალაქში 8) რომ შემოხვედი, ვით ფადიშა-სერესკარი,
ფაშამ სახუქარი გიყო, მას გავარდა ორივ თვალი.

ფაშა ვალეს 9) წამევიდა, ხომ არ გამოვიდა ხანი.
ჩივთეები 10) დეუწყვილეს, ზეცას ადის მათი ალი.
სამი ფეხის გადადგმაში ჩამოართვეს ორივ მხარი,
სამივ ერთად დაარწყვილეს: ორი ძმა და ბაირახდარი 11);
სამივ ერთად დასჭრეს თავი, ვითარცა ყასაბმა ცხვარი.
ყველა იმას ეხვეოდა, ვითარცა სკაში ფუტკარი.
აჭარა დასწვა-დადაგა, ზეცას ადის მათი ალი!

როდესაც ყველა დამშვიდდა სელიმ ფაშის შვილები ახმეთ და აბდი გურიიდამ დაბრუნდნენ აჭარაში. ახმეთბეგმა მთავრის და ესმა შეირთო.

1828 წელს ომების წინათ ახმეთ-ბეგი სრული წლოვანი იყო, კარგი შეძლება და მამულები ჰქონდა მამისაგან დარჩენილი, მამული ზოგი თითონ იყიდა და მოიპოვა დიდი გავლენა მთელ აჭარაში და შავ-ზღვამდე. ამისთანა კაცის მეგობრობა რუსებისათვის რასაკვირველია კარგი იქნებოდა და ბებუთოვს იმასთან ერთობა ჰქონდა. 1829 უნდოდა მიეღო რუსის ქვეშევრდომობა, მაგრამ მერე გარემოება შეიცვალა. ბებუთოვი გამოსცვალეს და იმის მაგიერს ოსტენ საკენს არ მოენდო. რუსის ჯარი აჭარაში შევიდა. გენერალმა მოითხოვა რომ ახმეთ-ფაშა მოსულიყო. რადგანაც არ მოვიდა, სოფელ ხულაში იმისი სახლი დასწვეს. ახმეთ-ფაშამ აჭარლები მოაგროვა და გზაში ჩაუდგა, რუსებს ბათუმში არ გაუშვებო. ამ დროს ჭირი იყო და რუსები უკან დაბრუნდნენ. ახმეთ-ფაშა გამოუდგა და გზა წაახდინა, რადგანაც მთიდამ დიდი ქვები დააგორეს. ჯარი ახალციხეს დაბრუნდა ჭირისა ავათმყოფობისაგამო, მალე მორიგება მოხდა,

---

1) ჩახალ-ოღლი ქვედა აჭარელი სოფელ ბზუბზუელი ყოფილა. 2) ჯარიანობა, ომიანობა. 3) ცოხე. 4) ჯავრით. 5) ბარი-გარიგე, შალი-მორიგება. 6) ბოლომათ, ბევრათ. 7) სოფელი. 8) აჭარლები ახალციხეს ქალაქს ეძახიან და ტფილისს დიდ-ქალაქს. 9) სოფელი ახალციხის უეზდში. 10) დამბაჩები. 11) ბაირაღის დამჭერი, მედროშე.

რომლის ძალითაც ახალციხე რუსეთს შეუერთდა. ახმეთ-ფაშას ყარსის გუბერნატორობა მისცეს და შემდეგ აზრუმის სერასკრობა. ამ დროს ჭანეთში და ლივანაში ჯარებით შევიდა ოსმალოს წესების შემოსატანათ და დასამკვიდრებლათ.

ახმეთ-ფაშის სამსახურის გამო ხიმშიაშვილები თითქმის მთელი ოსმალოს საქართველოს ბძანებლები შეიქნენ. სელიმ-ფაშის შვილებმა: ახმეთ-ფაშამ დაიჭირა აჭარა და არტანუჯი, აბდი-ბეგმა შავშეთი და სათლელი, მესამე ძმამ ქორ უსეინ-ბეგმა, პენკი და მეოთხემ დურსუნ-ბეგმა ყარსის ახლოს თავის კარი. ახლანდელი მმართველები ამ ადგილებისა სულ ამათი ჩამომავალნი არიან.

ახმეთ-ფაშის დროს იმისი მეზობ. ს სამფლობელოები სასტიკათ ეკუთვნოდა ოსმალოს, ერთად ერთი სამსახური ოსმალოს საქართველოში მხოლოდ ჯარის სამსახური იყო. ახმეთ-ფაშამ პირველად ჩამოაგდო აჭარაში სალდათის გაყვანა. მაგრამ ჯერ-ჯერობით თითო ოროლა ბოგანო კაცი გაჰყავდათ.

ახმეთ-ფაშის სიკვდილის შემდეგ ხიმშიაშვილებში თავ-კაცათ ახმეტის ძმა ქორ უსეინ-ბეგი იხსენებოდა, რადგანაც ახმეთ-ფაშის შვილი შარიფ-ბეგი ჯერ ყმაწვილი იყო.

შარიფ-ბეგის ბიძა ქორ-უსეინი განაგებდა აჭარას და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ოსმალოს წესების შემოტანა დაებრკოლებინა. ხალხში ბევრს საკვირველ ამბებსა ლაპარაკობენ იმაზე როგორც უშიშარ რაინდზე. ამის დასამორჩილებლათ აქედამ გადასული გამაჰმადიანებული ვიღაც ჭყონია მიგზავნა ოსმალოს მთავრობამ. ჭყონია გოლიათის შეხედულობისა და მკაცრის ხასიათისა თურმე იყო; მივიდა ქალაქ ქედას და შიშის ზარი დასცა. ქორ-უსეინ ხიმშიაშვილი არ შეუშინდა, დაეცა და ქედიდამ განსდევნა. ამას შემდეგ ჭყონიაზე უარესი მკაცრი კაცი კეი-ოღლი მოვიდა აჭარაში ოთხი ათასის ჯარითა და სულ გადასწვა. ამასთანავე ქორ-უსეინს მოუსიეს ყარსის ფაშის ჯარი, დაიჭირეს უსეინ და ყარსში დაამწყვდიეს. თუმცა იქიდამ გაიქცა, მაგრამ ისევ დაიჭირეს და სტამბოლს გაგზავნეს, სადაც ამ ორმოცის წლის წინათ გარდაიცვალა.

მკაცრმა და სასტიკმა კეი-ოღლიმ პირველი მმართველობის (ადმინისტრაციის) საფუძველი დასდვა საშინელის მტარვალობითა. შესანიშნავი დრო იყო ეს დრო აჭარისათვის.

ამ მცირე მოთხრობით ხიმშიაშვილების გვარის თაობაზედ, ვხედავთ ოსმალოს წესები რა გზით შემოიტანეს აჭარაში. ახმეთ-ფაშის შემწეობით და კეი-ოღლის მტარვალობით რაკი აჭარაში ოსმალოს წესები შემოვიდა და აჭარის თავისუფლებას საძირკველი მოეთხარა, ხვანთქრის მმართველობამ ახლა ბეგებზე მოიცალა. 1850 წელს ოსმალოს საქართველოს თავად აზნაურთა (ბეგების) თავიკაცები სტამბოლს დაიბარეს და გამოუცხადეს, რომ მმართებლობას უნდა საგვარეულო სიგელები და ფარმანები გაშინჯოსო და ახალის წესის დაგვარათ ახალის ფარმანებით შესცვალოსო. ბეგებმა სისარულით აიღეს მამა-პაპის ქაღალდები, საქართველოს მეფეების ბოძებული წერილები და ხვანთქრების ან შაჰების ფარმანები და წარუდგინეს. მოელოდნენ ხვანთქრის წყალობას. ოსმალოს მმართველობამ რა კი ეს წერილები გამოსტყუა და თავის არხივში დაჰკეტა, გამოაცხადა თანზიმათის შესანიშნავი სიტყვები:

„ყოველი ქვეშევრდომი იმპერიისა, თანასწორათ უნდა სწევდეს ხარჯსა რაც უნდა წოდებისა და სარწმუნოებისა იყოს“*.

ამით დასრულდა აჭარის თავისუფალი ყოფნა.

პ. უმ.

---

## ჩვენის ისტორიისთჳის მასალა.

(შემდეგი.)

შემდგომად რაოდენისამე ჟამისა საქართველოს უპირატეს მართებელმან ალექსანდრე პეტროვიჩმან ტორმასოვმა გაილაშქრა ახალ-ციხეზედ, და აწვია ლეონ დადიანიცა და შეიკრიბა სამთავროით მისით სპანი ოდიშ ავსაზნი და ლეჩხუმელნი და წარვედით ახალ-ციხეს, ვნახეთ მუნ ტორმასოვი დიდითა მხედრობითა და შემოვკარით სრულიად ციხე და ქალაქი. და ოდეს სწადოდათ რამეთუ შეესრულ ვყოთ ქალაქსა შინა მაშინ გაჩნდა ჯარისა შინა მომსრველი სენი (ესე იგი ჟამი) და შიშითა მისითა დავიფანტენით, აღვემზადეთ და წარვედით, გარნა ალაფი დიდ ძალი წარმოვიღეთ ვინადგან მარბიელთა ჩვენთა მოაოხრეს მრავალნი სოფელნი და დაბანი. და ესრეთ წარმოვედით სურამამდინ ერთათ მთავარ მმართებელიცა და მთავარიცა ჩვენი, და შემდგომად ჩვენ წარმოვედით კარტოხათ ოდიშად და მთავარ მმართებელი თფილისად და დაშთა ახალ-ციხისა ციხე და ქალაქი უვნებელი.

ამათ ჟამსა შორის მთავარი ჩვენი ლეონ გრიგოლის ძე შეიქნა ოცის წლისა და ვინათგან ესრეთ იყო ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისაგან, აქომამდე სამთავროსა სამეგრელოსასა მართებდა დედა მისი დედოფალი ნინა, და რა მოვიდა დანიშნული ჟამი, მიათვალა ძესა თვისსა ლეონს სამთავრო სამეგრელოსი და სთხოვა ხელმწიფე იმპერატორს და წარვიდა რუსიად თაყვანის საცემლად მისისა ხელმწიფე იმპერატორისა ფამილიათა მისთა და წარიყვანა ძე თვისი გიორგი და აფხაზეთის მთავრის საფარ ალიბეგის ძე ყრმა დიმიტრი, ვინათგან

*) „ივერია“ № 5.

საურმითგან იგი ზრდიდა შვილად თვისად და რა მივიდა სანკტ-პეტერ-ბურღად, ყოველთა სამაგალითოდ მიიღო იგი ხელმწიფე იმპერატორმა და აღავსო ყოველითა წყალობითა და ნიჭითა და სცხოვრებს მუნ. შემდგომად წარსვლისა დედისა თვისისა მთავარმან ჩვენმან ლეონ დადიანმა მოიყვანა მეუღლედ ზურაბ წერეთლის ასული მართა და ჰქმნა დიდი და სახელოვანი ქორწილი ჭყვიშს.

წელსა ამას **1811** განჩნდა იმერეთსა შინა ოდიშსა და გურიასა საშინელი მოსრველი სენი (ესე იგი ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელნი უთვალავნი მოისრნენ და მრავალნი განიბნნენ, კნინღა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემო ხსენებულნი, და მრავალნი წარვიდნენ აფხაზეთად, ვინათგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა მომსვრელი იგი სენი. და განგრძელდა ესე ვითარი რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდავიდა, გარნა ქვეყანანი მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად. მაშინ კაცნი მუნითგან განბნეულნი მრავალნი იპოვებოდენ დადიანის სამთავრო სამურზაყანო აფხაზეთსა შინა, და უფროორე იმერეთისა კაცნი, ამისათვის წარგზავნა ბოქაულნი მთავარმან ჩვენმან და შეკრიბნა და წარგზავნა მრავალნი სულნი იმერეთად, გარნა კვალად დაშთა მრავალნი. განიზრახა მთავარმან ჩვენმან, რათა მსახუროს ხელმწიფე იმპერატორსა და მიესოს მადლსაცა და განბნეულნი იმერელნი შემოჰკრიბოს შესაძინელად ხელმწიფე იმპერატორისა და სასარგებლოდ სულისა, ამისთვის თვით წარვიდა, და აგრეთვე ალუკრძალოს ტყვის ყიდვა და უსჯულოება სამურზაყანოელთა მათ და ეგრეთ ქრისტიანად. ამისთვის თანა წარიტანა ბიძა თვისი ჭყონდიდელ მიტროპოლიტი ბესარიონ და ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლი და მეცა ვახლდი, და ახლდა თან სიძე მისი მანუჩარ სოლომონის ძე შარვაშიძე. რომელი იყო მის ჟამისა სამურზაყანოს გამგებელი თვით ლეონ დადიანისაგან დადგენილი. და მივედით რა ბედიას დავბანაკეთ სოფლად საბუბისას და დავსდექით მუნ, ხოლო ციხე ბედიისა მას ჟამად ეპყრა ლეონ ხუტუნიას ძეს შერვაშიძეს, და იყო მას შინა თვისის ცოლშვილითა ხოლო ძე ლეონ შარვაშიძისა ხუტუნია და სიძე დადიანისა მანუჩარ სოლომონის ძე შურობდენ ერთმანერთში და იყვნენ ერთმან ერთისა ბიძა შვილნი და ღამესა მის ყოფნისა ჩვენსა ბედიას შემოუჩინა ხუტუნიამ კაცი მანუჩარ შარვაშიძესა და მძინარესა სახლსა შინა შეეპარნენ და დასცეს ხანჯალი მძინარეს და მოჰკლეს, კაცი ღირს სახსოვარი და საქებელი იმპერატორის პოლკოვნიკი და კავალერი. მსმენელი ამისი მთავარი დადიანი და მხლენი მათნი დიდსა მწუხარებასა მიეცით, გარნა არა იყო ღონე. ლეონ შარვაშიძე და ძე მისი ხუტუნია ციხესა შინა იყვნენ და ჩვენ არა გვაქონდა ჯარი რათა ნაცვალი რაიმე გვემოქმედებია. წარმოვიღეთ მკვდარი და მოვედით სასახლესა მისსა ბარბარას და ვიყავით მუნ თუთხმეტ დღემდე და იყო დიდი და გამოჩენილი ჩვეულებისა მებრ აფხაზეთისა ტირილი და გაება და შემდგომად მოვასვენეთ მკვლისასა ელაიშს და დავმარხეთ მუნ შესაფერისა პატივითა.

ამისთვის იწადა მთავარმან ჩვენმან რათა ლეონ შარვაშიძესა და ძესა მისსა ხუტუნიას ესე ვითარის ბოროტმოქმედებისათვის გარდაახდევინოს. და ვინადგან ციხე ბედიისა მაგარი იყო და ქუბული და არა ვის აუღია იგი ძალისა შემოდგომითა და ლავანცა იდგა მომზადებით მაშინა. ვინათგან სამურზაყანოსა შინა იყო მას ჟამისა დიდ შეძლე კაცი ლეონ შარვაშიძე, ამისთვის დადიანმაცა მიიღო იპყრა თავდარიგი თვისი და სთხოვა შეწევნა რუსთა და წარმოუგზავნა ორი როტა მხედრობა და მასთანა არტილერიელი და მხედრობა იმერთა რამოდენიმე, სარდლად იმერთა მხედრობისა გრიგოლი ზურაბის ძე წერეთელი და სეხნია წულუკიძე. აგრეთვე სთხოვა შეწევნა მთავარს მამიას გურიელს, და მანცა წარმოგზავნა გურულთ მხედრობა და სარდლად მათდა ბიძა გურიელისა დავით და ვახტანგ როსტომის ძე ერისთავი, და ესრეთ შეკრებულნი წარმოვემართენით და მოვედით ბედიის და დავბანაკეთ გალმით ციხისა. შევიზრახეთ ურთი ერთთა შორის და ორად გავიყავით მხედრობანი, რუსის მხედრობა და ოდიშარნი და სამურზაყანო აფხაზნი ერთად და ამათ და მხედართ მძღვანად და თვით სარდლად მთავარი ჩვენი ლეონ გრიგოლის ძე დადიანი და მოადგა ზემოთ ციხესა, ხოლო მეორედ იმერელნი და ლეჩხუმელნი და მარწმუნეს მე და ამათ მხედართ-მძღვანად და სარდლად მაჩინეს მე. მოვადექით ქვემოთ ციხის და რა შეუტიეთ დავიწყეთ ციხის გარემოდამ სროლა. გარნა მსწრაფლ გავაქციეთ და შევიდნენ ციხეშიდ და ჩვენ მახლობლად ციხისა დავსდექით და ვემზადებოდით სასროლსა ზარბაზნისასა და საფარეთა, რათა მახლობლად შემოვზღუდოთ ციხე. მაშინ სცნა ხუტუნია ლეონ შარვაშიძის ძემ ციხესა შინა მყოფმან, რომელ მოადგომა ციხისა ამის ფიცხლად არს და არ შეუძლიან გამაგრება ციხისა ამის, შეშინებული გაიპარა ღამით და წარვიდა წებელდად. და რა სცნა ლეონ შარვაშიძემ რომელ არა ძალ-უძს წინა-აღმდეგობა დაგვიწყო მოციქულება, ითხოვა ჩემი იმედი უსიკვდილობისა და გამოვიდა და მოგვცა ციხე ბედიისა და ვინათგან იყო ლეონ შარვაშიძე მოხუცებული და მეუღლე მისი ინალისშვილის ასული და ამის დაპატივად მიუჩინა გამოსაზრდელად სოფელი ფასხულანისა და მუნ წარგზავნეთ და ესრეთ გამარჯვებული მთავარი ჩვენი წარვიდა სახლად თვისად, ხოლო მე დამტოვა ლეჩხუმს

რამოდენიმე ჯვარით, და განახლებით განვამაგრე ციხე ბედიისა და ვიყავ რაოდენსამე ხანსა და შემდგომად დავსტოვე მუნ მეციხოვნედ თავადი გიორგი პეტრეს ძე ხეიძე თვისის სახელოს კაცით და წარმოვედი მშვიდობით.

ამათ ჟამთა მიუწოდეს მთავარ მმართებელსა საქართველოსასა ტორმასოვს, და არწმუნეს საქართველოსა მთავარ მმართებლობა ღენერალ ონტანფანტერსა ნიკოლაი ფეოდორიჩს რტიჩევს, რომელი იყო კაცი სათნო ღვთისა და ერისა, და ამან ჰქმნა მშვიდობა შორის ხელმწიფე იმპერატორისა და სპარსეთისა. ესე მოვიდა იმერეთად განიხილა ყოველი იმერეთი, მიუწოდა ქუთათის მთავართა დადიანსა და გურიელსა, უალერსა მათ შესაბამად და მუნით მივიდა მარანზედ საჭილაოს მიწყურუჲი ლევან დადიანი, სადა უქმნა შესაფერი მეჯლიში დადიანმა, და შემდგომად წარვიდა კვალად საქართველოდ. ხოლო ჟამსა ამას იყო იმერეთის მმართებლად პოლკოვნიკი სტანისლოვ დამიანვიჩი მერლინი. ხოლო მეფე იმერეთისა სოლომონ ოსმალთა შინა მყოფი წარვიდა აზრუმს და მუნით ევედრა ოსმალთ იმპერატორსა პორტი ათამანსა, და ეგრეთვე შთავიდა ერევანს და მუნით ევედრა სპარსეთისა ყეინსა, გარნა ვერა რომლითამე მხრითა იპოვნა შეწევნა და მრავლისა ხვეწნისა და მრავლისა თხოვნისა შემდგომად მოვიდა ტრაპიზონს დასნეულდა მუნ და მოკვდა წელს (1815) და დაფლეს მუნ დიდისა პატივითა. ხოლო თავად აზნაურნი მხლენი მისნი არა განუტევეს ოსმალთა და ეტყოდენ ოდეს ჩვენდა დავიპყრობთ იმერეთსა, მაშინ განგიტევებთო, და იცოდენ მათ ოსმალთ მოტყუებისა ამბავი და იმეცადინეს და გამოიპარენ ერთიანათ იმერელნი მუნ მხლენი მეფისანი და მოვიდენ იმერეთად და შეიწყნარეს რუსთა და მისცეს თვის თვის სახლსა შინა მშვიდობით ცხოვრება.

ამათ ჟამთა იყო რომელ ნაპოლეონ ბონაპარტე შემოვიდა რუსეთად და მოაოხრა რუსეთი, და ამისთვის ხელმწიფე იმპერატორმა და პორტი ათამანმა ქმნა მშვიდობა შორის მათსა და ამისათვის მისცეს რუსთა კვალად ფოთი ოსმალთა. ხოლო ბონაპარტი ძლიერებითა განსაკვირვითა განსდევნეს რუსეთიდამ და უკანით შეუდგა თვისის უძლეველის მხედრობითა ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე პირველი, მიჰყვა პარისამდე ალიღო პარისი და თვით ბონაპარტე შეიპყრა და ესრეთ საუკუნოდ სახსოვრად და სამაგალითოდ გაიმარჯვა და სძლია მტერთა ძლიერებით საკვირველსა. ხოლო ჯიქეთს მყოფი ასლან ბეგ შარვაშიძე მამის მკვლელი წარვიდა სტამბოლს და მუნით მოვიდა ფოთს სადა იყო სერასკალი სულეიმან ფაშა ხაზინადაროღლი, რომელსა ჰქონდა რწმუნებული რათა დაიპყრას იმერეთი და სამეგრელო და განდევნოს რუსი რომელმაცა არა თუ შეასრულა ესე ბრძანება, გრცალა თუ განცხადებაცა იკადრა პირით მისით და ესრეთ კვალად უკუნ იქცა. და სერასკლის ფოთს ყოფნასა შინა მოიცა ასლან ბეგმა მალი, წარმოიტანა რამოდენიმე ჯარი ფლვით და მოვიდა გუდავას და გუდავადამ მოვიდა ტამუშს და მუნ დასდგა, სწადოდა დაპყრობა ავხაზეთისა. გარნა მოვიდა საფარ ალიბეგ და სთხოვა შეწევნა რუსთა. მაშინ მიბრძანეს მე და წამგზავნეს და მომცეს ბრძანებასა ჩემსა ქვეშე ბატალიონი თვისის არტილერიითა და მიბრძანეს, რათა დავესხა მათ თავს. და რა წარვედ და მიველ ილორს, მაშინ სცნეს მისვლა ჩემი და ივლტოდენ ოსმალნი და დაუტევეს ასლანბეგ, და ასლან ბეგი წარვიდა კვალად ჯიქეთად, ხოლო ავხაზეთი კვალად დაშთა საფარ ბეგს. ხოლო წებელდის მყოფი ხუტუნია ლევანის ძე შარვაშიძე წარმოვიდა მალვით წებელდიდამ და უნდოდა რათა მისულ-იყო და შევედრებოდა ზურაბ ქაისოსროს ძეს წერეთელს რათა ეპატიებინა დადიანის რისხვისაგან, და რა მოვიდა ხონს ნახა იგი დავით ქუჩუხას ძემ წულუკიძემ და შეიპყრა იგი და მოჰგვარა ლეონს დადიანს და მან ტყვედ ჰყო მურის ციხესა შინა წელსა ერთსა, ხოლო შემდგომად ევედრა ზურაბ წერეთელი სიძესა თვისსა ლეონს დადიანს, რათა აპატიოს ხუტუნია შარვაშიძე, პატივი სცა თხოვნასა სიმამრისასა და მიმადლა და გამოუშვა ციხიდამ და მისცა წერეთელს. ხოლო მან სახლსა შინა თვისსა გამოზარდა იგი ორსა წელსა და მერმე კვალად სთხოვა პატივი მისი და შეიწყალა დადიანმა და მიუტევა ყოვლად უგვანი საქციელი მისი და მისცა მას და ძმათა მისთა ნანახევარი ბედია და ნახევარი ბედიისა მისცა ზურაბ ბოლიხუხუს ძესა შარვაშიძესა, და ფახულანი მისცა დასა მისსა ქვრივად მყოფსა მეუღლესა მანუჩარ შარვაშიძისასა და იმყოფებიან ესრეთ აწმყოსა ჟამსა.

ამათ ჟამთა მიუწოდეს რუსეთად საქართველოს უპირატეს მმართებელს ღენერალ ოტინ ფანტერის რტიშჩევს და მოადგილედ მისა წარმოგზავნეს ღენერალ ლეიტენანტი ალექსეი პეტროვიჩი იერმოლოვი, და მცირედის ხანის მოუბოძეს ოტი ფანტერობისა ღენერლობა. ამან დაიპყრო ყოველი დაღისტანი საჭურველის ძალითა დაჩაჩანიცა შეაიწროვეს და შესხო კავკასსასა შინა. მოუბოძეს იმერეთის მართებელს პოლკოვნიკს მერლის ღენერალ მაიორობა და წარვიდა რუსეთად, ხოლო იმერეთის მმართებლად წარმოგზავნეს ღენერალი ხათუნცოვი, და შემდგომად მცირედისა ხანისა ღენერალ მაიორი ივან დანიილოვიჩი კურნატოვსკი.

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Мая 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.